№ 49 1877—1905 № 49

შაბათი, 9 აპრილი

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. თვეში 1 მანეთი.

რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.

დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверія".

ცალკე ნომერი 3 კაპ.

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ., წლიური განცხადება—მორიგებით.

განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: პუშკინის ქუჩაზე, № 11, საკრედ. საზ.-ბის სახლში.

ტელეფონი № 922.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია".

1905 წლის განმავლობაში რედაქცია დაურიგებს ხელის მომწერლებს

პრემიად 12 წიგნს

საერთო სათაურით: **„ივერიის ბიბლიოთეკა"**, რომელშიაც მოთავსებული იქნება: ბელეტრისტული და სამეცნიერო თხზულებანი და წერილები ქართველ და უცხო მწერალთა.

გაზეთში და საპრემიო წიგნებში იქნება მოთავსებული **სურათები** და **ილლუსტრაციები**.

გაზეთის ფასი: 1 აპრილიდან წლის დამლევამდის 7 მან., რომლის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება. ვინც პრემიის უკვე დარიგებულ პირველ წიგნს მოისურვებს, 50 კაპ. უნდა გამოგზავნოს მის ფასად.

ცალკე ნომერი გაზეთისა ღირს 3 კაპ.

რედაქცია იმყოფება პუშკინის ქუჩაზე, № 11, საკრედიტო საზოგადოების სახლში (მესამე სართულში).

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція газ. „Иверія".

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. ვედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ი. ჟუჟუნაძე. კბილის—8—9 საათ.

გ. გ. მაღალაშვილი. შინაგანი. ოთხშაბ. 9—10 საათამდე და კვირაობით 9—11 საათ.

ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა $9^1/_2$—$10^1/_2$ ს.

ნ. ტ. მულინი.—ყურისა, სასისა და ცხვ. 10—11.

ვ. დ. ლამბაშიძე.—შინაგ. სამშ., ხუთშ., პარასკ. და შაბათობით 11—12.

ვ. მ. მანსვეტოვი.—შინაგ. და ბავშვ. 12—1 ს.

დ. ა. ვედევანიშვილი.—შინაგანი და ნერვებისა 12—1 ს.

ექ. ქალი მ. კ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

კ. ნ. დიასამიძე. — ვენერიული და კანისა $12^1/_2$ $1^1/_2$ საათ.

ს. ს. ალექსი-მესხიშვილი.—ხირურგია 1—2.

საღამოს:

ს. ი. ვაჩნაძე.—შინაგ. 6—7 საათამდე.

ოპერაციების გაკეთება შეუძლიათ გარეშე ექიმ-ხირურგებსაც.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., საავადმყოფოს აქვს ოცი საწოლი. სამკურნალოში ოპერაციები მორიგებით, კრავატები დღეში ღირს 2-დან სამ მანეთამდე. საზოგადო და ნომერი—5 მან.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი), სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

ტელეფონი № 274.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

მ. ყ. ჩიქოვანი.—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. გ. აფეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ზ. ი. ბაბანასოვი—დილის 11—12 საათ.—ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

კ. ი. ბძელიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

ვ. ა. თარხანოვი—1—$1^1/_2$ საათ.—შინაგანის და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ექიმი ქალი **ა. ე. შჩერბინინა**—$1^1/_2$—2 საათ.—ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

საღამოობით:

პ. ა. არდაზიანი.—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ტერიოსკოპიულს გამოკვლევას, 5—7 საათ.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს.—უკეთებს მასსაჟს (მსურველთ სახლში) და აუცრის ყვავილს, გამართავს საექიმო გიმნასტიკას, ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი **კ. ბძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. წლ.

ტფილისის ექიმები.

კბილის ექიმი

ივანე პ. ახალშენიშვილი

გადავიდა: ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-მდის.

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი № 13.

ვ. ს. მუსხელიშვილი—კიროჩნისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათისა.

ვაწაძე სფირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და ბაროնის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18—იღებს ავადმყოფებს დილით—9—11 და საღამოთი 6—8-საათამდე.

გაბაშვილი გრიგოლ—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 საათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლი № 157.

უდროვოა?

ბ-ნმა გ. გაბაევმა ქართული ენა და გაზეთი მოიძულა და „საპასუხოდ" რუსული ორგანო აირჩია... იქნება ამ ფაქტს, რომ ჩვენს მოკამათეს ენა რუსულად აეხსნა, განსაკუთრებული ხასიათი და მნიშვნელობაც ჰქონდეს, რომელსაც მკითხველი დაახლოვებით მაინც წარმოიდგენს, თუ გაიხსენებს, რა პოლიტიკურ მიმართულებასა და პრაქტიკულ გზას ადგია ბ-ნი გ. გაბაევი და მისი ცნობილი „კომპანია"...

„ახალ მიმოხილვის" № 77-ში დაბეჭდილია ბ-ნ გ. გაბაევის „წერილი რედაქციის მიმართ", რომელშიაც ავტორი ჩვენ ცილისწამებას გვაბრალებს. ჩვენ თურმე ცილი დაგვიწამებია მისთვის და მისი მეგობრებისთვის, როცა ვთქვით, რომ ისინი წინააღმდეგნი იყვნენ და არიან საქართველოსთვის ავტონომიურ თვითმართველობის მოთხოვნისაო. მე ავტონომიის წინააღმდეგი კი არ ვარო,—ამბობს ჩვენი მოკამათე,—მე მხოლოდ ნაადრევად ანუ უდროოდ მიმაჩნია მისი მოთხოვნაო.

„კერძო კრებებზე,—სწერს სიტყვა-სიტყვით ბ-ნი გ. გაბაევი,—არა ერთხელ, არამედ მრავალჯერ გამომითქვამს (ჩემი აზრი) და იმ კერძო კრებაზედაც, სადაც «ივერიის» რედაქტორიც იყო, ტფილისის გუბერნიის მარშლის მოადგილეს წარვუდგინე წერილობითი მოხსენება, რომელშიაც ვაცხადებდი ავტონომიის არა წინააღმდეგობას, არამედ იმას, რომ ავტონომიის მოთხოვნა უდროვო არისო".

იმ კრებაზე „ივერიის" რედაქტორი სულ რამდენსამე წუთს დარჩა და არ მოუსმენია, რაც ილაპარაკა იქ ბ-ნმა გ. გაბაევმა. მაგრამ ჩვენ გვინდა ჩვენის მხრით დავეხმაროთ ბ-ნ გ. გაბაევს და მოვიყვანოთ მოწმე, რომელიც მის ნათქვამს ფორმალურად ამტკიცებს. ეს კაცია ბ-ნი კიტა აბაშიძე, რომელიც იმ კრებას თავიდან ბოლომდის დაესწრო და ამ საგნის შესახებ, სხვათა შორის, გვწერს:

„შაბათს, 26 მარტს, კერძო კრება გამართა ტფილისის გუბერნიის მარშლის მოადგილემ თ. ალ. ჯამბაკურ-ორბელიანმა ამ (ე. ი. ავტონომიის) საგანზე მოსალაპარაკებლად. ამ კრებას ჩვენც დავესწარით. მთელ კრებაში ავტონომიის წინააღმდეგ ის აწ სახელოვანი სამი ორატორი (ბ-ნნი გ. გაბაევი, მ. მაჩაბელი და ივ. ჯაბადარი) აფრქვევდა ცეცხლს, თუმცა ყოველ წუთში გვარწმუნებდნენ,—ჩვენ ავტონომიის მომხრე ვართ, მაგრამ—არა 31 მარტსო, და ამას ტაქტიკურის მოსაზრებით ჩავდივართო: რომ დიდის გამოკიდებამ ცოტაც არ დაგვაკარგვინოს, ამისთვის ვეცადოთ, საზოგადო ხასიათის მოთხოვნილებანი წარვადგინოთ და მერე,—„მერე" სხვა დროს ვითხოვოთ ჩვენის კერძო საქმეების გამოო. სხვები ამტკიცებდნენ, რომ ეს შემცდარი აზრია, რომ, პირიქით, თავად-აზნაურობის უმეტესობა იმ აზრისაა, რომ ჩვენთვის დამფუძნებელ კრების მოწვევას მნიშვნელობა აქვს იმდენად, რამდენადაც ჩვენი არსებითი მოთხოვნილება იქმნება დაკმაყოფილებული, ე. ი. თუ სრული დემოკრატიული ავტონომია მოგვეცემაო. ბოლოს შევთანხმდით იმაზე, რომ მ. მაჩაბელი, ექიმი გაბაევი და ნაფიცი ვექილი ჯაბადარი ავტონომიის წინააღმდეგ არაფერს არ იტყოდნენ კრებაზე და ყოველის ღონით ეცდებოდნენ, ეს საგანი გაეტარებინათ. საქმემ კი სულ სხვა ალი მოაჩინა..."

როგორც ხედავთ, თუმცა ჩვენ იმ კერძო კრებაზე გამოთქმული სხვადასხვა აზრები პირადად არ მოგვისმენია, მაგრამ მაინც ვიცით და წინადაც ვიცოდით, რომ ბ-ნი გაბაევი და მისი ამხანაგები ავტონომიის წინააღმდეგობას პირდაპირ ვერ ბედავდნენ და ამიტომ საეროვნო მოთხოვნილებათა ჯიბეში შენახვას გვიქადაგებდნენ. ჩვენ მათი ორჭოფობა და მიხვეულ-მოხვეული ლაპარაკი სინათლეში გამოვიტანეთ და გაუბედავ წინააღმდეგობას უბრალოდ წინააღმდეგობა ვუწოდეთ.

ცილის წამება არისო. არა, ეს არ გახლავთ ცილის წამება. მაგალითს მოგახსენებთ. რუსეთისთვის ზოგიერთ რეფორმის საჭიროებას დღეს გრინგმუტის გაზეთიც კი სცნობს და აღიარებს, მაგრამ ამასთანავე მკითხველებს უქადაგებს: მოიცადეთ, მოითმინეთ, ასე ერთბაშად არ შეიძლება, რეფორმებზე მერე ვიფიქროთო. რას ნიშნავს ეს? არის გრინგმუტი რეფორმებისა და რუსეთის პოლიტიკურ განახლების მომხრე? ბ-ნნი გაბაევი და მისი მეგობრები გვეუბნებიან: ავტონომია კარგია, მაგრამ ნუ მოვითხოვთ,—ეს გულში შევინახოთო. ნიშნავს ეს ავტონომიის მომხრეობას? არა, არ ნიშნავს!

ამ საბუთით,—რომ უდროვოაო,—ყველაფერი კარგ სურვილისა და პროგრესიულ მოთხოვნილების უარისყოფა შეიძლება. საქმე ის არის, ვინ როგორ უყურებს დროსა და „უდროვობას". თვით რუსეთის მოწინავე გაზეთები პირდაპირ ლაპარაკობენ, საჭიროა რუსეთის იმპერიაში მცხოვრებ სხვადასხვა ერებს ავტონომიური თვითმართველობა მიეცესო. ამავე აზრს იმეორებენ რუსეთის ცნობილი პროფესორები და მწერლები. მთელი რუსეთი ამოძრავებულია და თხოულობს წესწყობილების შეცვლას და ცხოვრების განახლებას. ყველა შეგნებული ერები თავის მდგომარეობას უკვირდებიან და დაუფარავად ეუბნებიან რუსეთის საზოგადოებას, რომ ისინი მხოლოდ მაშინ ისარგებლებენ მოსალოდნელ რეფორმებით, როცა ეს რეფორმები ამ განსხვავებულ ეროვნებათა ხალხოსნურ ცხოვრების პირობებთან იქნებიან შეთანხმებულნი. და ამ დროს ჩვენთვის უდროვოა თვით-მართველობაზე ფიქრი და თავის მოთხოვნილების დაუფარავად გამოცხადება? განა ამას გულწრფელად იტყვის კაცი, რომელსაც ანბანი მაინც გაეგება პოლიტიკისა?

ბ-ნმა გაბაევმა და მისმა თანამოაზრეებმა სიტყვაც გასტეხეს და კერძო კრებაზე დანაპირები არ შეასრულეს ოფიციალურ კრებაზე. საწინააღმდეგოს არაფერს ვიტყვითო, ნამდვილად კი კუთხე-კუთხე ჯგუფებს მართავდნენ და მსმენელთ ავტონომიის მოთხოვნის საშიშროებას უქადაგებდნენ. მართალია, ბ-ნი გაბაევი კათედრაზე არ ასულა და იქიდან ოფიციალური „რეჩი" არ წარმოუთქვამს, მაგრამ დარბაზში თავის „აზრს" ყველას ეუბნებოდა და განა ეს ნიშნავს გაჩუმებას და უმრავლესობის გადაწყვეტილებისთვის მხრის დაჭერას?

ბ-ნ გ. გაბაევს ძალიან მოსწონს და „სასახელოდ" მიაჩნია თავის „კომპანიაში" ყოფნა. ოღონდაც: კაცია და გუნებაო!...

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრების გამო.

(წერილი რედაქციის მიმართ)

ტფილისის თავად-აზნაურობა, რომელმაც თავის დაუდევრობითა და უგულობით ბევრი რამ დაჰკარგა ასის წლის განმავლობაში, ამ საერთო მღელვარების დროს შეიკრიბა, რათა ეთათბირნა და რამოდენიმედ მაინც გამოერკვია დღევანდელ ცხოვრებისაგან დაყენებული საკითხები.

პირველ აპრილის საგანგებო კრებამ დაგვიმტკიცა, რომ თავად-აზნაურობა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ერთ-ორს ცხოვრებისაგან გარიყულს, მომზადებული და თან აღჭურვილია ყველა მოქალაქობრივ სიმამაცით. აქამომდე ზნეობრივად უკან ჩამორჩენილმა თავად-აზნაურობამ, რომელიც დედინაცვლობას უწევდა ჩვენს სამშობლოს, უარ-ჰყო ყალბ საფუძველზე აშენებული შენ ჩემობა, რამაც ძირი გაუთხარა საქართველოს ეროვნებას და დიდი ზიანი მიაყენა.

ვინც არ დასწრებია პირველ აპრილის კრებას, ის ვერ წარმოიდგენს იმ სიამოვნებას, იმ აღტაცებას, რომელიც ჩვენში გამოიწვია სიმართლით სავსე და გულის სიღრმიდგან ამონასხეთქმა სიტყვებმა. გწუხვართ, რომ ჩვენს გაზეთებში ვერ დაიბეჭდება არც მეორმოცედი იმისი, რაც ვნახეთ და გავიგონეთ პირველ აპრილის კრებაზე.

სხვებისა არ ვიცი და, ჩემის ხსოვნიდან კი სიკვდილამდის ამოუშლელი იქნება პირველ აპრილის კრების შთაბეჭდილებანი და მეტადრე ის ქალი, რომელმაც მოგვაგონა ძველებური ქართველი დედა შემდეგის სიტყვების წარმოთქმით: „ხალხნო! იმ დედას დედა ნუღარ ეწოდოს, რომელმაც დღეის იქით შვილი იმ უკუღმართ გზაზე დააყენოს, რომელზედაც აქამდე აყენებდა. და ის დედა შეჩვენდეს, რომელმაც ქვეყნის სასამსახუროდ და სიმართლისთვის თავდასადებად შვილი არ გაიმეტოსო".

ესა და სხვა ამგვარი მრავლად წარმოთქმული სიტყვები არასოდეს არ დაგვავიწყდება!..

მინა ჯაფარიძე.

* * *

სულთან-ყირიმ-გირეის აზრი გურიის შესახებ.

პეტერბურგში სულთან-ყირიმ-გირეი «ნოვოე ვრემია»-ს თანამშრომელს უნახავს და გურიის შესახებ ულაპარაკნია. ყირიმ-გირეის უთქვამს: მთავრობის მხრით ერთი ნაპერწკალი საკმარისი იყო, რომ გურიაში საქმე გამწვავებულიყო. ეს იმიტომ ხდებოდა, რომ მთავრობა სრულიად არ ზრუნავდა გურულებზე და იმათ საჭიროებას ყურსაც არ უგდებდა. საჭიროება კი დიდი იყო. მოძრაობის უმთავრესი მიზეზი ის იყო, რომ გურულებს ძალიან ცოტა მიწა დაურიგეს, ისიც ცუდი და უვარგისი. ეს მთავარი მიზეზია, დანარჩენი კი მხოლოდ ამისი შედეგია. გურულები განსაკუთრებულ მდგომარეობაში არიან: რადგან მიწა არა ჰქონდათ, ამიტომ ისინი შავის ზღვის ნავთსადგურებსა და რკინის გზებზე მუშაობდნენ და მთავრობის წინააღმდეგ მიმართული ლიტერატურაც სწორედ აქ გაიცნეს. კრებებზე გურულები ხშირად მეუბნებოდნენ: პატარა ფურცლებსა და წიგნაკებში, რომელიც, რაღაც მიზეზით, აკრძალულია, ბევრი საინტერესო რამე სწერია, გაზეთებში კი—არაფერიც არ იწერება. მე ვეუბნებოდი, ეს იმიტომ არის, რომ ცენზურა გაზეთებს მაგნაირ წერილების ბეჭდვის ნებას არ აძლევს-მეთქი. მაშ, ცენზურა უნდა მოისპოსო,—მეუბნებოდნენ გურულები.

პოლიტიკურ პროპაგანდას ეკონომიურმა გაჭირვებამ მოუმზადა ნიადაგი.

მე გურიაში წასვლა და გურულების საჭიროებათა შესწავლა მომანდეს. მეც წაველი და ხალხს ლაპარაკის სრული თავისუფლება მივეცი. ჩემის აზრით, ქვაბიდან თუ ორთქლი არ გამოუშვით, ქვაბი აფეთქდება. მე შევამჩნიე, რომ, როცა გურულებმა ამოალაგეს ყველაფერი, რაც კი იმათ სტანჯავდა, ცოტათი დამშვიდდნენ. მერე კი, როცა გავაგებინე, რომ იმათ საქმეს პეტერბურგში გადასწყვეტენ, ისინი უფრო დამშვიდდნენ და ლაპარაკის კილოც გამოიცვალეს. მშვენიერება რამ იყო, როცა გურულები თავიანთებურად უხდიდნენ მადლობას გენერალ მალამას, რომელმაც ყველაფრის თქმის ნება მისცა. გლეხები ხშირად მეუბნებოდნენ: ასე ჩვენ არას დროს არ მოგვქცევიან. როცა ჩვენის საჭიროების გამოთქმას ვცდილობდით ხოლმე, პასუხად გვცემდნენ, გვატუსაღებდნენ, რუსეთში გვგზავნიდნენ.

გურიის მომავლის შესახებ ყირიმ-გირეის უთქვამს. დაუყოვნებლივ საჭიროა გურიაში კულტურა გავრცელდესო. ეს გზა—ყრიმ-გირეს აზრით,—შორია; ჯერჯერობით კი, რაც შეიძლება მალე უნდა მოწესრიგდეს მიწა-ადგილის საქმე და ხალხის განათლებაც შესაფერ კალაპოტში უნდა ჩადგეს. ბოლო ხანს ნათლად აღმოჩნდა, რომ გურიაში სახალხო განათლების საქმე ცუდათ არის დაყენებული. გურიაში არსებულ სასკოლო სისტემას არავითარი ნაყოფი არ მოაქვს: ქართველები სკოლაში სამ წელიწადს ატარებენ და იქიდან ისე გამოდიან, რომ არც რუსული იციან და არც ქართული. გურულებს უეჭველად უნდა აუხსნათ, რომ შესაძლებელია სახალხო განათლების საქმე ისე წავიყვანოთ, რომ შიგ პოლიტიკა არ ჩავურიოთ. გურულები თავიანთ მოთხოვნილებას ასე ათავებდნენ: რა რეფორმებსაც რუსეთში შემოიღებენ, იგივე რეფორმები გურიაშიაც უნდა შემოიღონო.

გურიაში ყოფნის დროს მე ღრმად დავრწმუნდი, რომ ხალხი პოლიტიკურის მხრით გონიერი და ჰკვიანია: იმათში სულაც არ არსებობს სეპარატიული ტენდენცია, განცალკევების სურვილი. დიდის სიხარულითა და სიამოვნებით ვეგებებოდი ყოჩაღ და მამაც „გიორგის კავალრებს". გურულებს ძალიან უხაროდათ, რომ მე მარტო დავდიოდი და თან კაზაკების მაგივრად მხოლოდ კორესპონდენტები მახლდნენ. როცა გურულები თავიანთ ნალაპარაკევს ქართულ გაზეთებში კითხულობდნენ, უხაროდათ და უფრო მშვიდდებოდნენ. ამ მხრით ქართულმა პრესამ ძალიან უშველა საქმეს. სოფლებში გაზეთები ძალიან გავრცელებულია, რასაც ცოტა მნიშვნელობა არა აქვს.

* * *

დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

7 აპრილი.

რომნი, 7 აპრილი. სასწავლებლებში აღელვება მოისპო. დირექტორი დროებით წავიდა. საბჭომ თანაგრძნობა გამოუცხადა მასწავლებლებს და დამშვიდება და დაწყნარება სთხოვა მცხოვრებლებს. პოლიციამ დაამტკიცა, რომ მაზრაში საადგილ-მამულო მოძრაობა დაიწყოო. ერთ სოფელში დააპატიმრეს 2 სოფლელი, თუმცა ხალხი საზოგადოდ წყნარად არის და არ ემხრობა აგიტაციას.

ლონდონი, 6 აპრილი. თიბეთის ხელშეკრულობის შეცვლა არ შეეხება თავისუფალ ვაჭრობას, მხოლოდ ზოგიერთ რაშიმე განსაზღვრავს მის მოქმედებას. მანამ ახალი წესები შემოვიდოდეს, კაანძესა და კარტოკში ისევ 1894 წ. ხელშეკრულობის წესები ძალაში რჩება.

კიევი, 7 აპრილი. გუშინ, დილის 4 საათზე, სადგურ ფასტოვოზე ორი საქონლის მატარებელი დაეტაკა ერთმანეთს. დაიმსხვრა 6 ვაგონი, დაზიანდა ლოკომოტივი. უფროსი კონდუქტორი დაიჭრა. გზა გაფუჭებულია. შემანქანეს ნამეტან დაღლილობისა გამო ჩასძინებია და სემაფორისთვის გაუცილებია მატარებელი.

თემირ-ხან-შურა, 7 აპრილი. სოფელ ათიღბუიუნის გლეხები თავის ნებით ხნავენ იმ მიწებს, რომელიც სასამართლომ სოფელ თარკუს მიუსაჯა. ოლქის უფროსის იმ მეცადინეობამ, რომ ეს ორი სოფელი მოერიგებინა, უნაყოფოდ ჩაიარა. 1 აპრილს გამოწვეულ იქმნა დაღესტნის პოლკის ასი სალდათი. ათიღბუიუნელები თავისს სოფელში დაბრუნდნენ. ათიღბუიუნიდან უწესოებაში მონაწილეობას იღებდა 168—ხანჯლებითა, რევოლვერებითა, თოფებითა და კეტებით შეიარაღებული ქალი და კაცი. მათ წინააღმდეგ თარკიდან გამოსულიყო 2000 თოფებით შეიარაღებული ქალი და კაცი.

ბერლინი, 7 აპრილი. გაზ. „სიუდ-დეიტშე-რეიხ-კორესპონდენტი" კატეგორიულად უარ-ჰყოფს «ტანის» და „ფიგაროს" ცნობებს, ვითომც გერმანიის წინადადება მაროკოზე საერთაშორისო კონფერენციის მოწვევის შესახებ სხვა სახელმწიფოებისაგან იყოს უარყოფილი. გაზეთების სიტყვით, კონფერენციის შესახებ ჯერ არ გამოთქმულა რამე სავალდებულო განცხადება. ეს აზრი, როგორც ეტყობა, საფრანგეთის გაზეთებისთვის სასურველი არ არის და ამიტომ ჯერ-ჯერობით მასზე ლაპარაკსაც ერიდებიან.

ბელგრადი, 7 აპრილი. ხმა დადის, რომ ხონთქარმა უარი განაცხადა, სიმიჩის მაგიერად ავაკუმოვიჩის ელჩობაზე სტამბოლში, ვინაიდგან ავაკუმოვიჩი ცნობილია, როგორც სარევოლიუციო სამინისტროს მეთაური. ის გარემოება, რომ ნენადოვიჩი, მთავრობის მოწინააღმდეგე ხალხოსნის მეგობარი, დღესაც მეფის მდივნად არის,—უკმაყოფილებას იწვევს ხალხში და საფიქრებელია, რომ ამას სამინისტროს დათხოვა მოჰყვება. გრუიჩის წასვლას ცეტინიეში არავითარი საპოლიტიკო მიზანი არა აქვს.

პარიჟი, 7 აპრილი. „ნიუ-იორკ-ჰერალდი" იუწყება, მალტაში დაბეჯითებით ამბობენ, კრიტოსზე პრინცი გიორგი მოუკლავთო.

ასხაბადი, 7 აპრილი. კუშკში ხოლერით ავად გამხდარი დედაკაცი მოკვდა. ამბობენ, ხოლერა კავკასიიდან გადმოიტანესო. ეს დედაკაცი რეცხავდა კავკასიიდან მოსულ მუშა-სომეხთა საცვლებს. კომენდანტს ებძანა, ხოლერიანებისთვის საავადმყოფო დაარსოსო.

სოფია. ის ხმები, ვითომც მთავარი ფერდინანდი ევროპაში მოგზაურობის დროს მეფის ხარისხის მოპოვებასა ცდილობდაო, მთავრობის ორგანოს „ნოვ. ვეკ" ცილის წამებად მიაჩნია.

ყაზანი, 7 აპრილი. მუსულმანთა საჩივრისა გამო საბჭომ გადასწყვიტა, დადგენილება კვირა-უქმე დღეებში ვაჭრობის დროის შემოკლების შესახებ მუსულმანთა უბანს არ შეეხებოდესო.

სოფია. თუმცა ახალი წესები იქმნა შემოღებული, მაგრამ, სტუდენტების უკმაყოფილებისა და დემონსტრაციებისა გამო, სიმშვიდე არ დამყარებულა. სოციალისტთა მეთაურების შთაგონებით, თხოულობენ პოლიტიკურ ასსოციაციების სრულს თავისუფლებას და იმგვარ ცრუ-აკადემიურ თავისუფლებას, რომელიც სტუდენტებს ნებას მისცემს ლექციებზე მაშინ იარონ, როდესაც თითონ მოისურვებენ. სტუდენტთა უმრავლესობამ პროფესორების წინააღმდეგ დიდი ობსტრუქცია მოახდინა და ძალმომრეობასაც კი მიჰმართა. დანარჩენი სტუდენტები მშვიდობიან მანიფესტაციას ახდენენ, მხოლოდ პირველ დღეს თავს დაესხნენ „ვეჩერნაია პოშტა"-ს რედაქციას, ფანჯრები ჩაულეწეს. რადგანაც მაღალი კურსის სტუდენტთა უმრავლესობა სწავლის განგრძობას თხოულობს, საბჭო ცდილობს, გამოარკვიოს—რა გზას დაადგეს.

რიგა, 7 აპრილი. ბალტიის მხარეში გლეხთა მოძრაობამ იკლო. მიზეზი ერთის მხრივ ადგილ-ადგილ ჯარის ჩაყენებაა და მეორეს მხრივ მემამულეთა მიერ გაცემული გლეხების სასარგებლო შეღავათია. ფაბრიკებში მუშათა კრება შესდგა. მუშებმა დელეგატები ამოირჩიეს ქარხნის პატრონებთან შეთანხმებასა და მუშაობის განახლებაზე მოსალაპარაკებლად.

რიგა, 7 აპრილი. ის ცნობა, ვითომ ჩვენ განგებ მოგვეპარვინებინოს რევოლვერები კიშინიოვში გასაგზავნად, სიმართლეს მოკლებულია.—ხაზანოვსკი.—კანტერი.

ჰელსინგფორსი, 7 აპრილი. გუშინ გემ „ავსტრიაზე" განგეზე გავლით 400 ემიგრანტი საზღვარ-გარედ წავიდა.

ტამბოვი. დაიბეჭდა გუბერნატორის დადგენილება ტამბოვის ბავშვთათვის სამზრუნველო საზოგადოების დახურვის შესახებ.

ვიენნა, 7 აპრილი. ხალხის სიფხიზლეზე მზრუნავ საზოგადოების კომიტეტმა შუამდგომლობა უნდა აღძრას იმის შესახებ, რომ სახალხო სამკითხველოებში ხმარებაში შეტანილ იქმნას ცენზურასაგან ნება-დართული ყველა წიგნი, მადიაროსულ ენაზედაც.

ნიკოლაევი, 7 აპრილი. ის განზრახვა, რომ სამხრეთ რუსეთში მეორე საზღვაო კადეტთა კორპუსი დაარსებინათ, არ იქმნა სისრულეში მოყვანილი. კორპუსი პეტერბურგში უნდა დაარსდეს.

მანილლა. ნახშირის მზიდავი გემები ლინგაიანის ნავთსადგურიდან გავიდნენ. იაპონიის კრეისერები არ ჩანდნენ.

კალკუტტა. „დელი ექსპრეს" სარწმუნოდ გაუ-

გაა, რომ თუ გენერალ-მაიორის ელისის,—ინდოეთის საქმეთა უმაღლეს საბჭოს სამხედრო წევრის უფლებანი არ იქმნება შეზღუდული ინდოეთის ჯართა სააღმინისტრაციო და საფინანსო საქმეთა თანამდებობის შემოღებით, ლორდი კიტჩენერი,—მთავარსარდალი ინდოეთის ჯარებისა, მთავარ-სარდლობაზე უარის თქმას აპირობს.

ბერლინი. კეფის ავადმყოფობა თანდათან ვრცელდება. გერმანიაში ათასზე მეტი კაცი გახდა ავად, გალიციაში 150 კაცი. ცხადია, რუსეთსაც შიში მოელის.—სამხრეთ-დასავლეთ აფრიკაში ორი შეტაკება მოხდა. აზრადა აქვთ გერმანელებს, მიბაძონ ინგლისელების პოლიტიკას ტრანსვალში და აფრიკაში ბროკჰაუზები აგონ, სადაც იარაღი და წყალი იქნება შენახული.

ბერლინი. ფრანგულ გაზეთების მიერ გავრცელებული ხმა, ვითომ სახელმწიფოებმა უარჰყვეს წინადადება მაროკოს გამო საერთა-შორისო კონფერენციის მოწვევის შესახებ, სიმართლეს მოკლებულია. ეს საკითხი არ გადაწყვეტილა.

კოპენჰაგენი. ჰერცოგი ფილიპე ორლეანელი მაისის დამდეგს სამოგზაუროდ შპიცბერგენისაკენ წავა.

ალჟირი. გუშინ ინგლისის მეფე-დედოფალმა „ვიკტორია და ალბერტზე“ სადილი გამართეს. სადილს ალჟირის გენერალ-გუბერნატორი დაესწრო. მეფე ედუარდმა საფრანგეთის სადღეგრძელო დალია.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები.

(რუსეთისა და პეტერბურგის სააგენტოებისაგან)

7 აპრილი.

მალტა, 7 აპრილი. ინგლისის ხმელთა-შუა ზღვის ესკადრა სანოვაგით და სამხედრო მასალით იტვირთება და 11 აპრილს მარმარისაკენ წასვლასაც აპირობს. წინად ინგლისის ფლოტი დანდანელს მარმარიდან სდარაჯობდა ყოველთვის.

მალტა, 7 აპრილი. ინგლისის კრეისერი „ვენური“ წავიდა კრიტისკენ. ხვალ იქითკენვე მიდის კრეისერი „დიანა“. წასვლის მიზეზი კრიტზე მომხდარი არეულობაა.

საიგონი, 7 აპრილი. რუსის ესკადრა ჯერ კიდევ კამრანის ყურეშია გაჩერებული.

ტოკიო, 6 აპრილი. ჰფიქრობენ, რუსების ესკადრა კამრანის ყურესთან ან ანნამის სხვა რომელსამე ნავთ-სადგურში იქმნებაო გაჩერებული და იქ, ალბად, ნებოგატოვის ესკადრას უცდისო შესაერთებლად. რუსის გემები კამრანის ყურესთან სანეიტრალო გემებს ათვალიერებენ. თანდათან ძლიერდება უკმაყოფილება საფრანგეთის საწინააღმდეგოდ იმის გამო, რომ საფრანგეთმა თავისი სადგურები დაუთმო რუსის ესკადრას გასაჩერებლად.

ჰონკონგი, 6 აპრილი. ორმა გემმა ჩაუარა ახლო კამრანის ყურეს და იქ ვერც ერთი რუსის გემი ვერ დაინახა.

მანილლა, 6 აპრილი. ნახშირის მტვირთველი გემები ლინგაენის ყურედან გავიდა.

ვაშინგტონი, 6 აპრილი. სამხედრო მინისტრი ტავტი, რომელიც გარეშე საქმეთა მინისტრის თანამდებობას ასრულებს, ფილიპინებისკენ წასვლის შემდეგ ოფიციალურად ჩავა ტოკიოში.

პეტერბურგი, 7 აპრილი. ოფიციალური. 28 მარტს ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესად ბრძანა ფლოტის სიაში ჩაირიცხოს: სამი კრეისერი „ბაიანის“ ტიპისა—„ადმირალი მაკაროვი“, „პალლადა“ და „ბაიანი“; ოთხი საკანონერო ნავი „გილიაკის“ ტიპისა: „ბობრი“, „გილიაკი“, „სივუჩი“ და „კორეეცი“. ათი საკანონერო ნავი მდინარეებისათვის, თითოეული 83 ტონის წყალრწყვისა, ორი სანაღმო კრეისერი, თითო 570 ტონისა, „ენისეის“ ტიპის ერთი სანაღმო ტრანსპორტი—„ენისეი“, ორი ნაღმოსანი, თითო 297 ტონისა, და 29 ნაღმოსანი თითო, 350 ტონისა. ამ გემებს ახლა აშენებენ.

პარიზი 7 აპრილი (რეიტერი). „ეკო დე პარი“ იუწყება, მარსელში მოვიდნენ რუსის ოცდა ათი აფიცერი და ინჟინერი, რომელთაც ზედამხედველობა უნდა გასწიონ სამის კონტრ-ნაღმოსანისა და ჯავშან-გადაკრულ კრეისერის ქვაბების აგების დროს. ამ გემების კორპუსის აშენებას სენის ქარხანაში ზედამხედველობს 40 აფიცერი. 30 აფიცერი გაიგზავნა ჰავრში კონტრ-ნაღმოსნებისა და ჯავშან-გადაკრულ გემების აგების დროს თვალ-ყურის დასაჭერად.

გოძიაძი, 6 აპრილი. დილის 9 საათი და 40 წუთი. თავის ნებით ჯარში შესულნი მტერს მთელ ფრონტზე აწუხებენ. იაპონიის ლაშქარი ჩრდილოეთისაკენ გროვდება, წინ—გენერალ ოკიამას ცხენოსანი რაზმია. ჩვენის მარჯვენა ფრთიდან ჩინეთის მცხოვრებლები კვლავ გარბიან.

პეტერბურგი, 8 აპრილი, დღის $12^1/_2$ საათზე წმ. სპირიდონის ტაძარში გადახდილ იქნება პარაკლისი, რათა ღმერთმა მოანიჭოს კეთილი მგზავრობა შორეულ აღმოსავლეთში წასულ გემებს და მათ მეზღვაურებს.

ლონდონი. „მორნინგ პოსტი“ ამბობს, მართალია, იაპონიას თავისი ფლოტის იმედი უნდა ჰქონდეს, მაგრამ ადმირალ ტოგოსა და როჟესტვენსკის შორის მომავალი ბრძოლა სახუმარო არ იქნება. ტოგოს მაინც და მაინც დიდი უპირატესობა არა აქვს და სტრატეგიულის მოსაზრებით იგი უნდა ერიდოს ყოველგვარ თავგამოდებას და საგენერალო ბრძოლის იმგვარ შედეგებს, რომელიც თუნდა გამარჯვებაც იმას, დარჩეს, გემებს ძალზე დაუზიანებს და რუსეთს შეძლებას მისცემს ახალი გემების გაგზავნით შორეულ აღმოსავლეთის წყლებში კვლავ გაბატონდეს.

ვაშინგტონი, 7 აპრილი. ფილიპპინის კუნძულებთან მყოფ ამერიკის ესკადრის უფროსს, ადმირალ ტრეინს ბრძანება გაეგზავნა: ევალება, რუსებს ფილიპინის კუნძულებთან სადგომი არ მისცეო. საზოგადოდ ტრეინმა თვალ-ყური უნდა ადევნოს,—რომ რუსებმა ნეიტრალიტეტი არ დაარღვიონ.

(ღამის დეპეშები იხ. მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

უცხოელ პრესსის აზრი საზღვაო ბრძოლის შესახებ. „ნ. ვრ.“-ას მოჰყავს საერთოდ უცხოელ პრესსის აზრი იმის შესახებ, თუ რისა და რა იმედი უნდა ჰქონდეს ადმირალ როჟესტვენსკის. ინგლისური, ფრანგული, ავსტრიული, ბელგიური, ამერიკული და იტალიური პრესსა ერთხმად დაგვჩხავის თავზე,—სწერს „ნ. ვრ.“-ია,—ადმირალი როჟესტვენსკი აუცილებლად დამარცხდებაო. რუსეთის ფლოტს არაფერიც არ უვარგა: არც გემები, არც იარაღი, არც ზარბაზნები, არც მეზღვაურები და სხვ.; თვითონ როჟესტვენსკის,—სწერენ უცხოელები,—არა უშავს-რა, ხეირიანი ადმირალია, მაგრამ იმის ყბედურებაც იმაში, რომ მოპირდაპირედ ხეირიანი ადმირალი კი არა, გენიალური, მამაცი, მხნე, გაწვრთნილი და შეუპოვარი ტოგო ჰყავს. თვითონ ტოგო და ყველა იმისი მეზღვაურები დამშვიდებულნი არიან და გამარჯვების მტკიცე იმედი აქვთ. რუსებს გამარჯვების იმედი სულაც არა აქვთ და არც შეიძლება ჰქონდეთ. „ინდეპ. ბელჟ“ სწერს: როჟესტვენსკის შეუძლიან ცოტათი მხოლოდ იმ შემთხვევაში გაიმარჯვოს, თუ ტოგოს ფლოტს ცალ-ცალკე მოასწრო, მაგრამ ეს სწორედ რომ სასწაული იქნება; ჩვენს დროს კი სასწაული შეუძლებელია. „ტაიმს“-ის აზრით, ადმირალი როჟესტვენსკი თავხედურად მოიქცა და იაპონელების შესაშინებლად დიდ ოკეანეში ამოჰყო თავი. ამ თავხედობას მხოლოდ ორნაირი შედეგი მოჰყვება: რუსეთის ფლოტი ან სულ განადგურდება, ან თავს უშველის, სანეიტრალო ნავთსადგურებს შეაფარებს თავსა და იარაღს აიყრის. „ნ. ფრ. პრ.“-ს აზრით, თუ როჟესტვენსკიმ მოახერხა და როგორმე ვლადივოსტოკამდე მიაღწია, იაპონელებს მეტი არა უნდათრა: ადმირალი ტოგო ამ ფლოტსაც ისე ჩაჰკეტავს ვლადივოსტოკში და ისეთ დღეს დააყრის, რა დღეც პორტ-არტურის ესკადრას დააყარა. („ნ. ვ.“).

მომავალი ბრძოლა ზღვაზე. „რუს. ვედ“-ის სამხედრო მიმომხილველი ვ. მ. ადმ. ტოგოსი და როჟესტვენსკის ესკადრებს ერთმანეთს ადარებს და ტოგოს ფლოტის სიძლიერეს ციფრებით ამტკიცებს. აი, ფრიად საინტერესო ცხრილი, რომლიდანაც სჩანს, რომ იაპონიის ფლოტი ხელჩართულ ბრძოლაში გაცილებით სჯობნის რუსეთის ფლოტს:

ბრძოლის მანძილი.	ნახევარ საათში გაისვრიან.		წონა იმ ყუმბარებისა, რომელსაც ნახევარ საათში გაისვრიან.		პირგ. ენერგ. ყუმბ. (ფუტი „ტონნით).	
	რუსები:	იაპონელები:	რუსები:	იაპონელები:	რუსები:	იაპონელები:
1) 6 მილი	. 200 ყუმბ.	. 200 ყუმბ.	. . . 4050 ფუთი	. 4705 ფუთი	. 6850 ათასი	6920 ათასი.
2) 5 „	. 288 „	. 215 „	. . . 6834 „	. 4913 „	. 8812 „	7302 „
3) 4 „	. 288 „	. 1115 „	. . . 6834 „	. 11145 „	. 8812 „	17936 „
4) 3 „	. 2268 „	. 6215 „	. . . 11846 „	. 25298 „	. 13289 „	40039 „

ამ ცხრილიდან სჩანს, რომ შორ მანძილზე ბრძოლის დროს (6 მილზე—10 ვერსზე), როცა ორივე მხარეს შეუძლიან მხოლოდ ახალი, 12-დიუმიანი ზარბაზნები იხმაროს, თეორეტიული პატარა უპირატესობა იაპონელებისა იქნება (რუსები გაისვრიან 200 ყუმბარას 4050 ფუთის წონისას, იაპონელები 200 ყუმბარას 5705 ფუთს). როცა ორივე მხარე ერთმანეთს უფრო დაუახლოვდება (9 ვერსზე), ძალა რუსების მხარეზე გადმოვა, რადგან რუსები „ნავარინ“-ისა და „ოსლიაბია“-ს 8 დიდ ზარბაზანს დაუშენენ, იაპონელები კი მხოლოდ ერთ 10 დიუმიან ზარბაზანს (კრეისერ „კასუგა“-ზეა). ამ მანძილზე ნახევარ საათის განმავლობაში რუსები გაისვრიან 7000 ფუთ ლითონს, იაპონელები კი 5000-ს. $4^1/_2$ მილის (8 ვერსის) მანძილზე რუსებიცა და იაპონელებიც გათანასწორდებიან. 4 მილის (7 ვერსის) მანძილზე იაპონელებს შეუძლიანთ რუსებს 8 კრეისერიდან უცებ 30 მძიმე ზარბაზანიც დაუშინონ. მერე კი, 5—6 ვერსის მანძილზე რომ შეიყრებიან, იაპონელები რუსებს ორჯერ მეტ ლითონს დაუშენენ (რუსები 11846 ფუთს, იაპონელები—25298 ფუთს). მაშასადამე, როჟესტვენსკი ყოველნაირად უნდა ეცადოს, რომ ადმირალი ტოგო 5 მილზე ახლო არ მოუშვას, მაგრამ ეხლა ტოგოსაც უნდა ვკითხოთ, 5 მილის მანძილზე გაჩერდება თუ 3 მილზე მოუახლოვდება რუსეთის ფლოტს? (რ. ვ.).

ზავის პირობები. იაპონიის მინისტრად ნამყოფს, ეხლა კი იაპონიის პროგრესისტთა პარტიის მეთაურს, გრაფს ოკუმას, განუცხადებია: იაპონია უმნიშვნელო პირობებით რუსეთს არ შეურიგდება, მე და ჩემი პარტია ვთხოულობთ,—უთქვამს,—რომ რუსეთი შორეულ აღმოსავლეთიდან სამუდამოდ გაიდევნოს, იაპონიამ ვლადივოსტოკი და სახალინი შემოიერთოს, რუსეთს შორეულ აღმოსავლეთში ფლოტის ყოლა აეკრძალოს და რუსეთს კონტრიბუციად 2 მილიარდი მანათი წაართვას. ზავის შემდეგ, ოკუმას აზრით, იაპონია ინგლისს სამუდამო კავშირით შეეკვრება და ინდოეთის ხელუხლებლობას უზრუნველჰყოფს, რუსეთი, ოკუმას აზრით, საშუალო საუკუნოების სახელმწიფოა, ხალხი კი იმდენად დაჩაგრული და უბედურია, რომ იმას მხოლოდ იაპონელთა გამარჯვება იხსნის და გამოაღვიძებს. («ნ. ვ.»).

* * *

ახალი ამბავი

მიწად-მოქმედების დეპარტამენტისაგან მინისტრის რწმუნებულს **მედვედიევს მოწერილობა მოუვიდა**. დეპარტამენტი სთხოვს წარუდგინოს დაწვრილებითი ცნობები, რამდენად **ნაყოფიერ-ი და მოსახერხებელია შიდა-რუსეთიდან გადმოსახლებულ რუსთა დასასახლებლად ადგილი „გეგდჯალი“**, სოფელ ქესტაფასთან მდებარე; ან ამერიკულ ვაზის ჩასაყრელად გამოდგება ეს მიწის ნაჭერიო.

◆ გუშინ, საღამოს, რკინის გზის **ჟანდამები**, **ორ-ორი შეიარაღებული ჯარის-კაცებით** უბან-უბან დადიოდნენ და **მემანქანეებსა და მათ თანაშემწეთ და კონდუქტორებს დაეძებდნენ** რკინის გზის კანტორაში წასაყვანად. უმეტესი ნაწილი სახლში არა ხვდებოდათ და, რომელნიც კანტორაში მიჰყავდათ, ისინიც უარს აცხადებდნენ გზაზედ წასვლისას და ამბობდნენ: „გვეშინიან, ამხანაგები მოღალატედ ჩაგვთვლიან და დაგვსთრეცენო“.

◆ გუშინ, 5 ს. 20 წ. საღამოთი, ბაქოდან ტფილისს მოვიდა **ხალხის მატარებელი**. ამავე საღამოს 8 ს. ტფილისიდან ბაქოს წავიდა ასეთივე მატარებელი.

◆ ამიერ კავკასიის რკინის გზის უფროსმა ინჟენერმა **ივანოსკიმ** 6 აპრილს შემდეგი **ბრძანება გაუგზავნა** ფოთში ლიანდაგის მეორე ნაწილის უფროს ინჟენერს მიდიუკს: „სასჯელთა დებულების მე-69 მუხლისა და საომარ დროის წეს-რიგის დებულების ძალით, **ვაპატიმრებ** ფოთის სადგურის იმ **რემონტის მუშებს**, რომელნიც შტატის სამსახურში ითვლებიან. დაპატიმრებულ იქნებიან ეს მუშები შვიდის დღე-ღამით, თავის ნებით მუშაობაზე ხელის აღებისათვის. ეს ჩემი განკარგულება შესასრულებლად ეცნობა გენერალს ალიხანოვს“ (ცნ. ფ.).

◆ **რკინის გზის 86 მოსამსახურე მისულა** გენერალ მალამასთან **საჩივლელად** რკინის გზის უფროს ივანოვსკიზე.

◆ **ხაშურიდან დეპეშით გვატყობინებენ**: ყველა საორთქლმავლო ბრიგადებმა ყოველისავე წესრიგის დაურღვევლად განუცხადეს თავის უფროსებს, რადგან ჯერ ისევ წინანდელ გაფიცვების დროს გვირჩევდნენ ჩვენ მუშები არ გვეღალატნა და მხარი დაგვეჭირა, ურზობისათვის ტფილისიდან მოსული მემანქანე იცემა და ერთიც მოიკლა და ურჩებს კვლავ ასევე მოექცევიან. ვიდრე ჩვენი მოთხოვნილებანი დაკმაყოფილებულ არ იქნებიან, ტფილისიდან წესიერი მიმოსვლა არ დაიწყება.

◆ სად. ბაქოს ყველა **მემანქანეს** სამსახურიდან **დათხოვნის თხოვნა** წარუდგენია.

◆ 6 აპრილს, დილის $9^1/_2$ საათზე, აბაშასა და ახალ-სენაკს შუა ვიღაცეებს აყლოთ ერთი რელსი იმ დროს, როდესაც დამატებით მატარებელს უნდა გაევლო. ამ მატარებლით **მოჰყავდათ აბაშაში შეპყრობილი აგიტატორები**. მემანქანემ დროზე შენიშნა და შეაჩერა მატარებელი. (ცნ. ფ.).

◆ „ცნობ. ფურც.“-ს ოზურგეთიდან დეპეშით ატყობინებენ: „მოქალაქეთა მოთხოვნის თანახმად, ქალაქის საბჭომ ითხოვა **განთავისუფლება ერთად-ერთის ექიმის ჭოღოშვილისა**, ადგილობრივმა ადმინისტრაციამ საბჭოს შეატყობინა, რომ მთავრობამ გადასწყვიტა, **ჭოღოშვილი და მასთან ერთად დაპატიმრებული შვიდი კაცი არხანგელსკის გუბერნიაში გაიგზავნონ საცხოვრებლადაო**. ოზურგეთლები ძალიან დაღონდა ამ სამწუხარო ამბავმა.

გურიის სამღვდელოების კრებამ სამს დღეს გასტანა. სამოცამდე მღვდელი დაესწრო. კრებამ დღეს დაასრულა მუშაობა და დაადგინა—შეუერთდეს იმერეთის სამღვდელოებას და მოითხოვოს საქართველოს ეკლესიის სრული ავტოკეფალია.

მაზრის უფროსმა ჯაფარიძემ სამსახურს თავი დაანება. როგორიცა ამბობენ, ჯაფარიძის ადგილზე ინიშნება ოზურგეთის მაზრის უფროსადვე ნამყოფი ლაზარენკო“.

◆ როგორც გვატყობინებენ თელათსოფლის (ტფ. მაზრა) საზოგადოების **მამასახლისს** ტატო წიკლაურს თოფით თავი **მოუკლავს**. მამასახლისი გლეხთა მოძრაობის გამო ქვეზე შემცდარა. წიკლაური ამ მოძრაობის დიდი წინააღმდეგი ყოფილა.

ფელეტონი

ჯაშუში

(მოთხრობა ბერტლამერისა)

მოხუცი მწყემსი რიმუელდო მიუბრუნდა ბიარუს და სთხოვა:

— ბიარუ, თუ უდროვოდ მოვიდეს შენთან სიურელი, სახლში შეუშვი, უბედურობა შეემთხვა.

— რა უბედურობა? გულგრილად შეეკითხა რიმუელდოს ბიარუ, მყისვე თვალი ააშორა და ცას შეაჩერდა.

— ერთ საღამოს, დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, სიურელმა შეურაცხყოფა მიაყენა სიტყვით ცინტენსა. ეს მოხდა ტყეში, სადაც გამშველებელი არავინ იყო. მოთმინებიდან გამოსული სიურელი ეცა ცინტენს, იძრო დანა და იქვე ყელი გამოსჭრა.

— განა ეგ ამბავი აქამდე არავინ იცის?

— ვგონებ, არავინ, მხოლოდ ჟანდარმებს ეჭვი მიუტანიათ სიურელზე და სდევნიან.

— გარწმუნებთ, რომ ეგ საქმე არ დაიმალება და მალე გამომჟღავნდება,—დაცინვით უთხრა ბიარუმ მწყემს.

— აქ ჯაშუშობას ჯერ ფეხი არ მოუკიდია და არ გაუდგამს ჩვენში უკეთმართი ფესვები,—მიუგო მოხუცმა მწყემსმა ბიარუს.

— მე თვითონ ვიცი ჩვენში იმისთანა კაცი, რომელიც მაგისთანა საქმეებს სულით დაეძებს.

— ვინ არის ეგ კაცი? შეეკითხა ბიარუს აღელვებული მოხუცი.

— მე მაშინ დავასახელებ, თუ ერთხელ კიდევ ჩაიდენს იმისთანა საზიზღარ საქმეს და თავის ბედნიერებას შესწირავს სხვის პიროვნებას.

— გაფრთხილდი, ბიარუ, თუ შენ გიკისრია იმისი მფარველობა!—შეჰყვირა მრისხანედ სიბრაზისაგან ანთებულმა მოხუცმა რიმუელდომ.

ბიარუმ უკმაყოფილების ნიშნად ხელი ჩაიქნია, ზურგი იბრუნა რიმუელისაკენ და პასუხიც კი აღარ აღირსა.

მზე ჩასული იყო. ხშირ-ბინდს მოეცვა მიდამო, მთები, დაბურული ღრეები, მინდვრები და ღრმა ღელეები. მხუილ-ხუილით გადმოსჩქეფდნენ, ზვირთების ფრქვევით, მაღლიდან დაქანებულნი წყლის ნაკადულნი. რიმუელი შევიდა ნაკერჩხლის ტყეში, სადაც შეაფარებოდა მისი ცხვრის ფარი. ბიარუმაც განაგრძო თავის გზა მონტე-აპერტისკენ, სადაც განმარტოვებული იდგა მისი ქოხი. ბიარუ ოჟუმის ვაკეზე დაეშვა. ბინდ-ბუნდში, მთვარის სინათლეზე მან შენიშნა გუთნისდედა, რომელიც მიწასა ხნავდა. უღელ ხარს სახრის ქნევითა და ყვირილით მიერეკებოდა პატარა მეხრე. მუშაობისაგან მოქანცული ხარები ზარმაცად მიიზლაზნებოდნენ.

ხხი, ოოო,—გაისმა პატარა მეხრის ზარივით ხმა,—გადაუხვიეთ, თქვე ტიალებო, ვერა ხედავთ, რომ ეგ ალაგი ქვასავით მაგარია? გუთანზე ხელმოკიდული, ჯაფისაგან მოღლილ-მოქანცული და ჩაფიქრებული გლეხი ყოველ წუთს ახალ ძალას იკრებდა, რომ უნაყოფო მიწის ხვნა ცოტა ხანს კიდევ განეგრძო და მუშაობა დაეთავებინა.

ხშირ-ბინდში ბიარუმ ჯერ-ვერ იცნო გუთნისდედა, მაგრამ, როდესაც უკანასკნელმა თავი მაღლა აიღო, რომ თავის დღიურ ნამუშავრისთვის თვალი გადაევლო, ბიარუმ იცნო თავისი მეზობელი ბიუეერი.

— ოხ, უნაყოფო და უმადლო მამულო! სთქვა ბიარუმ დი თავის მეზობელს მიესალმა.

— ამოდენა სახნავმა ათი სული უნდა შეინახოს და ერთი სულის გამოკვებაც კი არ შეუძლიან, ისე გამოლევია მიწას ძალა და ნოყიერობა,—უთხრა გუთნის დედამ ბიარუს.

— ისევ ვენახების შემოსავალი სჯობია.

— ეგ, მაგრამ ჩვენთვის სულ ერთია: გლეხკაცის შუბლზე ღმერთს სიღარიბე დაუწერია.

— განა მთვარიან ღამეშიაც მუშაობთ?

— მაშ როგორ ვირჩინოთ თავი? გარდა ამისა, მიწის მუშაობა ღამე უფრო საადვილოა: სიცხე-პაპანაქება არ გვაწუხებს და მოელვარე მთვარეც სინათლეს არ გვაკლებს.

— თქვენი სახლობა ხომ მარტო იქნება ოთხ კედელ შუა გამომწყვდეული თავისი პატარა შვილებით?

— მარტოდ-მარტო, ღვთის ამარა თავის ღარიბ ჭერ-ქვეშ.

— ხომ შეეშინდათ? მით უმეტეს, რომ ამ მხარეში ავაზაკებიც დათარეშობენ.

— ვინ ავაზაკები? ვიცი, ვიზედაც ამბობ, ვგონებ, სიურელზე?

— სწორედ იმაზე გეუბნები. გუშინ საღამოს მოვიდა ჩემთან საწყალი სიურელი და ეხლაც ჩემთან არის. ათი დღის წანწალს, შიმშილსა და დევნას ისე გამოულევია ძალ-ღონე, რომ სიურელის აჩრდილსაც აღარ ჰგავს ცხლა ის. ჩემ შვილებს შეეცოდათ და შემოიკედლეს.

— ეხლაც თქვენთანა ცხოვრობს?

— დიაღ, ის ჩემთან იცხოვრებს იმდენხანს, რამდენიც თვითონა სურს. ამას ისიც უნდა დაუმატოთ, ჩემო კარგო, რომ, საწყალი კაცი მუდამ სტუმართ-მოყვარე და კეთილია. დაე, ერთი ლუკმა პური იმანაც სჭამოს ჩემს სახლში, მითი მე ამაზე მეტად არ გავღარიბდები.

ამნეკის ტყეებიდან ალბანიის მთის მწვერვალებს უხვად და სწრაფად მოეფინა ბადრი მთვარის შუქი და მთვარემაც მარდად ამოჰყო თავისი მოელვარე სახე. ჩვენი მოსაუბრენი ერთმანეთს გამოეთხოვნენ.

მეორე დღეს კანონის აღმასრულებელთ შეიპყრეს სიურელი გუთნის-დედის სახლში და ქალაქისაკენ გზას გაუყენეს.

ეს ამბავი მთელ ხეობას ელვასავით მოედო და აქ მცხოვრები მთიულები მეტად აღელვა. ყველამ კარგად იცოდა, რომ სიურელი ბიუეერის სახლში იყო შეფარებული, მაგრამ ვინ გასთქვამდა, თუ არ ისევ თავიანთი კაცი, რადგანაც სხვამ ეს ამბავი არ იცოდა. ერთ კვირა დღეს შეიკრიბნენ ახლო-მახლო გლეხები და სჯა-ბაასი გამართეს.

ბიარუც აქ გაჩნდა. გაიხმო ხალხიდან რიუმელდ და უთხრა:

— ბიძიავ, მე არ მოგახსენე, რომ ვინმე გასცემს სიურელსა მეთქი? მართალი გამოდგა ჩემი სიტყვები თუ არა?

— გაფიცებ შენ ღმერთს, შენს ვაჟკაცობას და შენი სახლის ბედნიერებას, გამოაშკარავე, ვინ გასცა სიურელი, თორემ შენც ხალხის თვალში ისეთ ჯაშუშად შეიქნები, როგორც იმის გამცემი.

— მე არავის დაღუპვა არ მწადია,—უპასუხა რიუმელდოს ბიარუმ.

— ის, რომელიც კაცის თავისუფლებასა სპობს და სდევნის, სიბრალულის ღირსი არ არის,—მიუგო მრისხანედ რიმუელდომ.

— მაგას მართალს ამბობთ,—დაეთანხმა რიმუელდოს ბიარუ.

— მაშ მითხარი, რატომ არ მეუბნევი, ვინ გასცა, შე უკულმართო,—შეუყვირა ბიარუს მოთმინებიდან გამოსულმა რიუმელდომ, ბიუროს ეხლა კი ფერი ეცვალა.

— იმ საღამოს,—უთხრა ბიარუმ რიუმელდოს,—როდესაც მე თქვენ შეგხვდით და შემდეგ გაგშორდით, შევიტყე, რომ სიურელი ჩემს სახლის ახლო ბიუეერის ოჯახში ეფარებოდა. ეს თვითონ ბიუერმა მითხრა. როდესაც ღამე გამოველ მინდორში სამუშაოდ, დავინახე, რომ ბიუეერი შარა-გზისკენ მირბოდა.

— შეგიძლიან, დაამტკიცო ეგ შენი სიტყვები, როგორც პატიოსანი კაცი?

— ქრისტეს ჯვარს გეფიცები, რომ ეს სიმართლეა.

ხევის მამასახლისებმა რომ შეიტყეს სიურელის დატყვევება, წყევლა-კრულვით ამოიღეს ბიუეერი და შეაჩვენეს. მას დღის შემდეგ, ამ უდაბურ ადგილას, ყველას აეკრძალა ბიუეერთან საქმის დაჭერა, მეზობლობა და საუბარი.

თუმცა ეს ხალხისაგან გადაწყვეტილი სასჯელი ძალაში იყო შესული, მაგრამ უეშმაკო ბიუეერი აჲას ვერც კი გრძნობდა. ეს იყო საწყალი, გაუთლელი და არაფრის მცოდნე გლეხი. ის ქედ-დახრილი დასდგომოდა ცხოვრების ეკლიან გზასა და თავის ბედს დამორჩილებოდა. ყოველ დღე მას დაუღალავად უნდა ეხნევა, რომ ათი სულისაგან შემდგარი ოჯახი უსაზრდოოდ არ დაეტოვებინა. პირველად თავის მეზობლების სიჩუმე მას არ უკვირდა, რადგან თვითონაც მუდამ დაღვრემილი, უსიტყვო იყო. მაგრამ როდესაც იგი მიმართამდა ხოლმე თავის მეზობლებს რაიმე თხოვნით და ისინი თავაზიანობის ნაცვლად მხამიან სიტყვებით უპასუხებდნენ. ბიუეერმა რაღაც იგრძნო, თვალები გაახილა და გაკვირვებით შეეკითხა მეზობლებს:

— რა დაგიშავეთ, რა ავკაცობა ჩავიდინე, რომ ეგრე მექცევით.

ბიუეერს მეზობლები პასუხს არ აძლევდნენ.

ერთხელ ბიუეერი თავის ქოხის წ დაღონებული იდგა. ამ დროს მის წინ გაიარა ბიარუმ. ბევჯელ დაუძახა მას ბიუეერმა, მაგრამ ბიარუმ, თითქო არც კი გაუგონია ბიუეერის ძახილიო, ბიუეერი უკან გამოეკიდა.

— დაყრუვდით, ძახილი აღარ გესმით,—მიჰყვიროდა უკანიდან ბიუეერი, რომელიც ბიარუს დაეწია.

— რა გნებავთ? უკმაყოფილოდ დაეკითხა ბიარუ.

— თქვენი უკადრისობა მე არ მაკვირვებს, მე მხოლოდ ის მინდა გავიგო, რათ მერიდებით, ქვა რაზე მომაგდეთ? არც მე და არც ჩემს შვილებს აღარავინ კითხულობთ, ცოცხლები ვართ, თუ მკვდრები.

— მე მაგაზე ვერაფერს გეტყვით,—უპასუხა ბიარუმ.

— იქნება თქვენ გეუკადრისებათ ჩემი სიღარიბე! ღმერთი ხომ მოწამეა, რომ მე არავისათვის არც მიწყენინებია და არც დამიშავებია-რა? ამ ტანჯვაში ორი შვილიც დავკარგე.

— რას იზავ, ბიძიავ, ყველა სიკვდილის შვილები ვართ,—ანუგეშა ბიარუმ.

— თუ შენი მიცვალებული დედ-მამის სული გრწამს, მითხარი, ვინ გამაშავა და გამომასალმა ჩემს მეზობლებს?—შეევედრა ბიუეერი. ბიარუმ ვერ გაუძლო მის სახის გამომეტყველებას, მოტვლეპილი პირისახე და ელამი თვალები იქით მიიღო და თითქო საცოდავი კილოთი უპასუხა ბიუეერს.

— მე არაფერი ვიცი.

ბიუეერმა, რომელსაც ამხანაგების შეჩვენება გულზე კაეშანივით დასწოლოდა და ღრღნიდა, მიმართა ხევის-მამასახლისებს და სთხოვა, რომ, ვიდრე ჩემი თავიცა და ოჯახიც არ დამიღუპია, ჩემს საქმეზე მოვილაპარაკოთო. მამასახლისებმა ბიუეერიც თხოვნა შეიწყნარეს და დანიშნეს დრო და ალაგი მათთან მოსალაპარაკებლად. დანიშნული დროც მალე მოვიდა. მამასახლისები შეიკრიბნენ და ელოდნენ ბიუეერის მოსვლას. აი, ბიუეერიც გამოჩნდა. ყველამ თვალები იმას მიაპყრო. ის თანდათან უახლოვდებოდა მათ და სახე გადაფითრებული და აღელვებული მოეშურებოდა. თუმცა ცივი ქარი ჰქროდა, მაგრამ ბიუეერი თავშიშველა და პერანგა წამოსულიყო, რომ წამდგარიყო ხალხის სამსჯავროს წინაშე.

მოხუცებულებმა ერთმანეთს გადახედეს, სახეზე სიბრალული გამოეხატათ და რიმუელდომაც წაიბუტბუტა:

— ერთი შეხეთ საცოდავს, სამარიდან ამოღებულს არ წააგავს?

სხვებმაც თანხმობის ნიშნად თავები დაიქნიეს.

ბიუეერი რომ მიუახლოვდა იმ მოედანს, სადაც ხევის მამასახლისები ელოდნენ, უცებ შეჩერდა. მის სახეზე რაღაც დიდი მღელვარება იხატებოდა

— მე დავიგვიანე და დანიშნულ ვადაზე ვერ გიახელით იმიტომ, რომ, აი, ეხლა საუკუნოდ გამოვესალმე ჩემს მესამე შვილს და მივაბარე შავს მიწას. ამ სიტყვებთან ერთად ბიუეერს ცრემლები გადმოსცვივდა, მაგრამ თავი შეიკავა და ისევ განაგრძო:

— სამი შვილი დავმარხე მას შემდეგ, რაც მე თქვენ გამათახსირეთ და ეს სასჯელი მომივლინეთ, ის სასჯელი, რომლის მიზეზი ეხლაც არ

✦ თელავიდან გვატყობინებენ, ვიღაც უცნობებმა გასტეხეს თელავის მიძინების ტაძარი და მისი **კანკელი დასწვესო.** ეკლესიის ქონებისთვის ხელი არ უხლიათ.

✦ ხევსურეთიდან გვატყობინებენ, რომ ადგილობრივ სოფლის **მამასახლისებისა, ნაცვლებისა და სუდიებისთვის ხევსურებს ნიშნები ჩამოუხსნიათ.**

✦ გუშინ ტფილისში მოვიდა **ერთი პოლკი დონის კაზაკთა,** რომლის ერთი ნაწილიც თელავისკენ გაემგზავრა.

✦ მთავარ მართებლის საბჭოს წევრი გენერალი **ტროფიმოვი** ინიშნება **ჩერნომორის გუბერნატორად.**

✦ ტფილისის გუბერნიაში **საარქელოგიო მიზნით** პეტერბურგიდან იგზავნება **ბ. რესლერი.**

✦ პეტერბურგში მყოფი სპარსეთის ელჩი შაჰის **დასახვედრად წამოსულა** ბაქოსკენ.

✦ გუშინ, 8 აპრილს, გლეხთა მოძრაობის გამო ტფილისის **მაზრის უფროსი** თავ. ჯანდიერი სოფელ დილომს **გაემგზავრა.**

✦ ხუთშაბათს, 7 აპრილს, ბაქოს მატერებლით ლიანდაგზე, **დამშეულ მოსამსახურეთა მისაშველებლად, გაიგზავნა სანოვაგით სავსე ორი ვაგონი** რკინის გზის მომხმარებელ ამხანაგობისა.

✦ ტფილისის **გუბერნატორმა ქალაქის მოურავს ცნობები მოსთხოვა** იმ ნიხრების შესახებ, რომელიც დაწესებულია ქალაქის ბორნებზე.

✦ ამ დღეებში ზემო-ავჭალის მცირე-წლოვან დამნაშავეთა გამასწორებელ ახალშენში **გაფიცულან მცირე-წლოვანი დამნაშავენი** და მუშაობისთვის თავი დაუნებებიათ. მცირეწლოვანი დამნაშავენი ჩივიან, ცუდად გვინახავენო.

✦ მიუხედავათ იმისა, რომ ტფილისის ვაჭართა ნოქრებმა გაიმარჯვეს და, სხვათა შორის, დააწესეს, რომ მუშტრები ძალად არ შეითრიონ ხოლმე მაღაზიაში ან ზედმეტი არ დაუფასონ, **ქარვასლელი ზოგიერთი ვაჭრები** მაინც თავიანთს არ იშლიან და ძველ რჯულს არ ივიწყებენ. საჭიროა, ამ გარემოებას ყურადღება მიაქციონ ვაჭრებისაგან ამორჩეულმა კაცებმა.

✦ ეს მესამე დღეა, რაც თავის სახლიდან სავაჭროდ გამოსულა **კაპიტანი ალ. ივანოვი** და აღარ დაბრუნებულა, ივანოვს დაეძებენ.

✦ როგორც ქუთაისიდან იუწყებიან, ქუთაისის გუბერნიის დროებითი **გენერალ გუბერნატორი** თავ. ჯაბაკურ-ორბელიანი **ავად გამხდარა.** ქუთაისში ჩამოსულა გენ.-მაიორი ალიხანოვ-ავარსკი.

✦ გუშინ მოხსენებული გვქონდა „მშაკ“-ის რედაქტორისაგან მიღებული საპასუხო დეპეშა სულთან-ყრიმ-გირეისა. ბ-ნმა ქალანთარმა მეფის ნაცვალ გრაფ **ვორონცოვ-დაშკოვისაგანაც მიიღო დეპეშა** შემდეგის შინაარსისა. ,,სიამოვნებით გავიგე დეპეშიდან, რომ სომხურ და ქართულ პრესსის მოღვაწენი კავკასიაში თანაგრძნობით მიეგებნენ ჩემს მოწოდებას ადგილობრივ ძალთა მიმართ. დარწმუნებული ვარ, რომ საერთო მუშაობაში საყვარელ ქვეყნის სასარგებლოდ კავკასიის პრესსა მხურვალე მონაწილეობას მიიღებს“.

✦ **რძე-მაწვნის გამყიდველი სოფლელები ჩივიან,** ვიღაც „ცილინდრიანები“ გვიხვდებიან და გვეუბნებიან, დღეიდან ქალაქში წველა აღარ ჩამოიტანოთ, თორემ ცუდი დღე დაგადგებათო. სოფლელები ამბობენ, ჩვენ ხვნა-თესვას არ მივსდევთ, რადგან საკმაო მიწა არა გვაქვს, ხელობა არა ვიცით-რა და მხოლოდ რძე-მაწვნის გაყიდვით ვცხოვრობთო; თუ მართლა ნება არ მოგვცეს, სიმშილით, ამოვწყდებითო. თურმე „ცილინდრიანები“ ტფილისის სარძეეებშიაც შედიან და უცხადებენ, დუქნები უნდა დაჰკეტოთ, ვიდრე გუბერნატორი ჩვენს მოთხოვნილებას არ დააკმაყოფილებსო.

საჭიროა ვიცოდეთ, ვინ არიან ეს „ცილინდრიანები, რომელ დასისა ან ჯგუფის წარმომადგენელნი, აქვთ რამე საერთო ეხლანდელ მოძრაობასთან, ან რა გაზრახვით ავიწროებენ სოფლელებს?

✦ ტფილისის საოლქო სასამართლოს უფროს **ნოტარიუსთან მთხოვნელებს** მხოლოდ რიგ-რიგად **ბილეთებით უშვებენ. ამ შემთხვევით სარგებლობენ ნოტარიუსის კარის მცველნი,** ბილეთების პირველ ნომრებს ინახავენ და, ვინც ხელში ფულ ჩაუდებს, ამ პატარა ნომრებს იმას აძლევენ, თუ ეს ნომრებიც გამოელიათ, ქრთამით ნოტარიუსთან უბილეთოდაც უშვებენ. ეს აღმაშფოთებელი უწესოება ყველას თვალწინა ხდება და, კარგი იქნება, ბოლო მოუღონ.

✦ **სახალხო სკოლების დირექტორის შულგინისაგან ქალაქის გამგეობამ მიიღო** ვრცელი პასუხი ავლაბრელების საჩივარზე, რომელიც მოჰყვა საქალაქო ოთხკლასიან სასწავლებლის ავლაბრ-დან ვერაზე გადატანას. დირექტორი სწერს, ავლაბრელები საქმეს ერთი-ორად აზვიადებენ და მით ჩირქს სცხებენ ჩემდამი რწმუნებულ დირექციასაო. ტყუილად ამბობენ ავლაბრელები, რომ ქუჩაში დავტოვეთ მათი ბალღები და სახალხო განათლების ტაძარი შევლახეთო. ტყუილია აგრეთვე, რომ დროზე არ ვაძლევდით სამინისტროს გამგეობაში გადასულ სომხეთა სკოლების მასწავლებლებს ჯამაგირებს, რადგანაც, ჯერ ეს ერთი, ავლაბარის სკოლებზე ჩვენ 6000 მანეთს ვხარჯავთ ყოველ წლივ და ჩვენ უწყების სკოლაში 90-ით მეტი მოსწავლე სწავლობს, ვიდრე საქალაქოში. მეორე—წინად ამ სკოლებში 400 სწავლობდა და ახლა 520 მოწაფე და მესამე—სამინისტროს გამგეობაში გადაცემულ სომხეთა ქონების მოსავლელად მთელი კომისია გვყავს არჩეულიო და ამ შენობების შეკეთების ხარჯთაღრიცხვაც სამინისტროს წარვუდგინეთო. დასასრულ, დირექტორი სწერს: შეიძლება, ავლაბრელებმა გვიკიჟინონ, რომ ფულს ცოტას ვხარჯავთ მათ სწავლა განათლებაზე, შეიძლება სწავლა-აზრდის საქმეც დაგვიწუნონ, მაგრამ ის სიტყვები კი, რომელსაც ავლაბრელები ხმარობენ თავიანთ საჩივარში, ვითომც ,,მათთვის სახალხო სკოლების დირექცია აღარ არსებობს და 45000 სულ მცხოვრებს გულგრილად უცქერის'', ეს სიტყვები უსამართლოდ მიმაჩნიაო.

✦ ერევნის თათრებს **შეუმუშავებიათ შემდეგი მოთხოვნილებანი:** 1. გათანასწორება მაჰმადიანთა უფლებისა ქრისტიანებთან; მაგალითად, თანასწორი უფლებანი საქალაქო თვითმმართველობაში; სახელმწიფო სამსახურში, ბეგებს, ხანებს, აღალარებს, სეიდებსა და სასულიერო წოდების წარმომადგენლებს მიეცეთ ისეთივე უფლებანი, როგორც ქრისტიან თავადებსა აქვთ. 2. ვაკუფის ადგილების შემოსავალი ისე დაიხარჯოს, როგორც შემომწირველების სურვილია, მეჩეთებსა და საქველმოქმედო საქმეებზე; ამასთანავე, შეცვლილ იქმნას კანონთა დებულების მე-160 მუხლი; 3. ტფილისში დაარსდეს მაჰმადიანთათვის სასულიერო სემინარია; დაარსდეს უმაღლესი სასწავლებელი კავკასიაში, სადაც ყველას შეეძლოს სწავლის მიღება. 4. გადაისინჯოს და დამტკიცდეს ადრინდელ ბეგების კომისიის მიერ შემუშავებული საგნები და მაჰმადიანთა მაღალ კლასს მიენიჭოს აზნაურობის უფლებანი; 5. სახაზინო თავისუფალი მიწები გლეხებს დაურიგდეთ დასამუშავებლად; 6. დაარსდეს ნაფიც-მსაჯულთა სასამართლო, როგორც რუსეთის ზოგიერთ ადგილებშია; 7. შემოღებულ იქმნას ერობა კავკასიაში; 8. გაუქმებულ იქმნას საერობო დარაჯთა ეხლანდელი ინსტიტუტი და დაარსდეს საერობო მილიცია; 9. რკინის გზა გაყვანილ იქმნას შუ ერივანში, და 10. შემოღებულ იქმნას სიტყვის, ბეჭდვის, კავშირის, კრებისა და პრესსის თავისუფლება (მშაკ).

✦ კვირას, 10 აპრილს, **დანიშნულია საარქეოლოგიო საზოგადოების წევრთა კრება.** წევრი ამ საზოგადოებისა ბ-ნი ექვთიმე თაყაიშვილი წაიკითხავს თავის რეფერატს შესახებ იმ ქვის წარწერებისა, რომელიც საეკლესიო მუზეუმში ინახება და რომელიც არდაგნის ოლქის ფოცხვერის ხეობიდან არის ჩამოტანილი.

✦ კისლოვოდსკის სახალხო აუდიტორიაში 27 მარტს ერთ ვაჟბატონს ლექცია წაუკითხავს, რომელითაც ხალხს მოუწოდებდა, **შინაურ მტრების — ინტელიგენტებისა და მოსწავლე ახალგაზდობის—დასარბევად და საცემრად.** კისლოვოდსკის მცხოვრებლებმა დეპეშით მიჰმართეს კავკასიის უმაღლეს მთავრობას და სთხოვეს—დაგვიფარეთ განსაცდელისაგანაო. ლექტორი თურმე არწმუნებდა ხალხს, გაზეთები: ,,რუსი'', ,,რაზსვეტი'' და ,,პიატიგორსკი ლისტოკი'' იაპონელებისაგან ჩოსყიდულიაო. (,,ბირ. ვედ.'').

✦ სახაზინო **პალატის უფროსი ბ-ნი მიხაილოვი** მთავარმართებლის საბჭოს ყოფილ წევრის ბ-ნ სულთან-კრიმ-გირეის ადგილას ინიშნება.

✦ ხუთშაბათს, 7 აპრილს, ტფილისიდან **შიომღვიმის მონასტერში ეტლით წავიდა** იმერეთის ეპისკოპოსი ლეონიდი.

პეტერბურგელ მშობლების გადაწყვეტილება საშუალო სასწავლებლების შესახებ.

1. საშუალო სასწავლებელში მასწავლებლები და მოსწავლეები ერთმანეთს პატივისცემით უნდა მოექცნენ ხოლმე,—უნდა დამყარდეს პიროვნების პატივისცემა.

2. სასწავლებელთან უნდა დაარსდეს მშობელთა მუდმივი რჩევა, რომლის წევრებსაც ირჩევს წლის ვადით მშობელთა წლიური კრება.

3. პედაგოგიურ რჩევაში მონაწილეობას უნდა იღებდნენ მშობლების წლიურ კრებაზე არჩეული პირები. ამ არჩეულებს სათათბირო ხმა ეძლევათ რჩევაში.

4. სასწავლებელს გარედ მოსწავლეების ყოფაქცევაზე თვალ-ყურის დევნება უნდა მიენდოს თვით მშობლებს.

5. აკრძალული უნდა იყოს ყოველი დასჯა, რომელიც შეურაცხყოფას აყენებს მოსწავლეს ან მის ჯანმრთელობისთვის მავნებელია.

6. წირვაზე სიარული მოსწავლეებისთვის არ უნდა იყოს სავალდებულო.

7. მეშვიდე და მერვე კლასების მოწაფეებს უნდა ჰქონდეს საჯარო წიგნთსაცავებში სიარულის უფლება.

8. სამხედრო ვარჯიშობის მაგივრად უნდა შემოღებულ იქმნას საექიმო ვარჯიშობა.

9. უნდა მოისპოს „კონდუიტი“, რომელსაც არავითარი აღმზრდელი მნიშვნელობა არა აქვს.

10. მოსპობილი უნდა იყოს სასწავლებლიდან გამორიცხვა, მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში შეიძლება ყმაწვილის გამორიცხვა, იმ პირობით კი, რომ საამისო გადაწყვეტის დროს საპედაგოგიო რჩევაში უნდა დაესწრნენ თვითონ გამოსარიცხავი მოსწავლე და მისი მშობლებიც.

11. სწავლის დასრულების მოწმობა უვადო უნდა იყოს.

12. რეალურ სასწავლებლებში სწავლა-დასრულებულებს უნივერსიტეტში მიბარების უფლება უნდა მიეცეთ.

13. რუსულ, ფრანგულ და გერმანულ ენების სწავლებისთვის ახალ გეგმების შემუშავება და სხვ.

სადღეისო

მშობლები.

მთელ რუსეთში ამჟამად საზოგადო ცხოვრების წესიერი განვითარება შეწყვეტილია...

შესწყვიტეს სწავლა მოწაფეებმაც...

შესწყვიტეს სწავლა იმიტომ, რომ ნამდვილი სწავლა არ იყო სასწავლებელში, რომ სასწავლებელი დაშორდა პედაგოგიას და სხვა გარეშე მიზნების მიმდევარი შეიქმნა...

შესწყვიტეს იმიტომ, რომ საზოგადოდ რუსეთის მთელი საზოგადოება ჩაუკვირდა არსებულ მდგომარეობას, აიხილა თვალი და არსებულ წყობილების გაუმჯობესება ისურვა.

სასწავლებელიც, რასაკვირველია, დანარჩენ დაწესებულებათა საერთო ბედს ვერ ასცდებოდა და მასაც, ადრე იქნებოდა თუ გვიან, ჩაუკვირდებოდა საზოგადოება და მოითხოვდა იმის შეცვლას, რაც ამჟამად არ არის სასურველ ნიადაგზე დაყენებული სასწავლებელში.

მოწაფეებმა მხოლოდ დაასწრეს საზოგადოებას...

ზოგიერთი ამტყუნებდა მოწაფეებს,—რა თქვენი საქმეა პოლიტიკაო, როგორ შეგიძლიათ ხმის ამოღება,—მორჩილად იყავით თქვენთვის, ისწავლეთ, რასაც გასწავლიან, იცხოვრეთ ისე, როგორც გეუბნებიან სასწავლებელშიო.

ამნაირმა რჩევამ ყველა მოწაფეზე ვერ გასჭრა...

მაშინ სასტიკ საშუალებასაც მიჰმართეს: დასტუქსეს ბავშვები, დასაჯეს, სასწავლებლიდან გამორიცხეს, დაჰკეტეს სასწავლებლები.

მაგრამ რჩევამ თუ ვერ გასჭრა, სასტიკმა ზომებმა მხოლოდ გაამწვავა ისედაც გამწვავებული მდგომარეობა და მღელვარება გამოიწვია იქ, სადაც წინად იჩენდა თავს უბრალო უკმაყოფილება მოწაფეებში...

საზოგადოების ერთი ნაწილიც იმ აზრს დაადგა, რომ დღევანდელ დღეს, როდესაც თითქმის შეწყვეტილია საზოგადო ცხოვრების ოფიციალი მსვლელობა, სწავლის განგრძობა უსარგებლო იქნება, და ამიტომ სჯობია, დროებით მაინც, შევწყვიტოთ სწავლაო.

ამ ორ მოწინააღმდეგე აზრის შეთანხმება ჯერ-ჯერობით შეუძლებელი შეიქმნა.

ზოგან იმდენად გამწვავდა საქმე, რომ ქუჩის მაწანწალები სცემდნენ უმიზეზოდ ქუჩაში ყმაწვილებს, რუსეთის სხვადასხვა კუთხეში სდევნიდნენ მოსწავლე ახალგაზდობას, საშიში შეიქმნა ბავშვებისათვის ქუჩაში გამოსვლა.

ისე უყურებდნენ ყმაწვილებს, თითქო მათგან ხმის ამოღება საშიში ყოფილიყო სახელმწიფო წესწყობილების არსებობისთვის.

და აქა-იქ, ზოგიერთ ქალაქში, ამნაირ მდგომარეობას მოჰყვა საშინელი უბედურებაც: ზოგიერთმა ყმაწვილმა მოიკლა თავი, ვერ აიტანა უფროსების უდიერი მოქცევა!..

რასაც უწინ ადვილად იტანდა ადამიანი, რასაც უწინ ყურადღებასაც არ აქცევდა არავინ, დღეს საჭირბოროტო შეიქმნა, დღეს აღელვებს ყველას, ალაპარაკებს, ამოქმედებს და სადაო უკმაყოფილების მიზეზად ჰხდება.

უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტების მოძრაობას თანდათან მიემხრო საზოგადოება, მიემხრნენ პროფესორები,—სტუდენტობა უარს აცხადებდა სწავლაზე, პროფესორები სწავლებაზე იღებდნენ ხელს და აცხადებდნენ, რომ არსებულ პირობებში სწავლა და სწავლებაც არ არისო შესაძლო.

საშუალო სასწავლებლებში ჯერ-ჯერობით მასწავლებლები და მშობლები ასევე გარკვეულად ვერ აცხადებენ სასწავლებლის არსებულ წყობილებით გამოწვეულ უკმაყოფილებას და ზოგიერთები მოითხოვენ მოწაფეებისაგან, რომ არ მიაქციონ არავითარი ყურადღება საზოგადო ცხოვრების არევ დარევას, ხალხის საერთო აღელვებას, და ისწავლონ ლათინური ან ბერძნული, ისწავლონ ის, რასაც ასწავლიან სასწავლებელში.

მხოლოდ აქა-იქ უკვე გაისმის ახალი ხმები...

აქა-იქ მშობლები გროვდებიან საშუალო სასწავლებლებში არსებულ მდგომარეობის შესასწავლად.

უკვირდებიან სასწავლებლის წყობილებას, უახლოვდებიან სასწავლებელს, რომელსაც დღემდის არ იცნობდნენ, რომელსაც ნდობით უყურებდნენ. და ანდობდნენ ბავშვების აღზრდას.

ზოგიერთ ქალაქში იკრიბებოდნენ საამისოდ ბავშვების მშობლები და, საკვირველია, ყველგან ერთსა და იმავე გადაწყვეტილებას დაადგნენ...

ყველგან გამოსთქვეს, რომ სასწავლებლებში ბავშვებს ადამიანურად არ ექცევიან, არ ცდილობენ მათში ადამიანურ გრძნობათა განვითარებას, სწავლა საპოლიციო მიზნებს ემსახურება, სასწავლებელი გარეშე ძალთა ხელში მხოლოდ იარაღია, მორჩილი იარაღი მორჩილ ქვეშევრდომთა აღსაზრდელადაო.

და ყველგან მოითხოვეს მშობლებმა, რომ შეიცვალოს სასწავლებლებში გაბატონებული წესები.

,,ასე ცხოვრება აღარ შეიძლება!'' ეს სიტყვები, რომელიც ამჟამად კიდით-კიდემდის გაისმის რუსეთში, სიტყვები, რომელსაც იმეორებს ყოველ ეროვნების წარმომადგენელი, რომელსაც ამბობს დიდი და პატარა,—ეს სიტყვები გაისმა სასწავლებელში...

მაგრამ ახლა ამ სიტყვებს იმეორებენ რუსეთში მოსწავლეთა მშობლებიც და ითხოვენ, რომ ახალთაობის აღზრდისა და განათლების საქმეში შემოვიდეს ახალი წესები...

მანამდის კი, სანამ ეს წესები არ შემოვა, ბავშვებს სასწავლებელში ვერ გავგზავნითო,—ამბობენ კურსკში. ამასვე იმეორებენ პეტერბურგში, ტულსა და ვორონეჟშიაც...

ვინ იცის, რა შედეგი მოჰყვება ამნაირ გადაწყვეტილებას რუსეთში?..

ნ. ნ.

რკინის გზის მოსამსახურეთა კრება.

მკითხველები ქალაქის საბჭოს დღევანდელ ანგარიშიდან ამოიკითხვენ, რომ ხელმწიფის მოადგილის თანაშემწე გენ. მალამამ დანიშნა კომისია რკინის გზის გაფიცულ მოსამსახურეთა საჭიროებების გამოსაკვლევად და გაფიცულებსაც ნება დართო შეკრებოდნენ და აერჩიათ დელეგატები. გუშინ, შუადღის 11 საათზე, ქალაქის საბჭოს დარბაზში მოიყარა თავი ათასზე მეტმა მემანქანემ, მათმა თანაშემწე და კონდუქტორებმა. კრებამ თავმჯდომარედ ერთხმად აირჩია ქ. ა. გერმიშევი და თავის წრიდან ოთხი კაცი თანაშემწეებად დაუნიშნა. კრების მდივნად არჩეულ იქმნა ბ-ნი ბეკი.

კრებაზე გამოირკვა ყველა ის მიზეზი, რომელმაც აიძულა რკინის გზის მოსამსახურენი დაეწყოთ გაფიცვა. საზოგადოებაში გავრცელებულია აზრი,—ლაპარაკობდა ერთი მემანქანე,—ვითომ მემანქანეთ ჯამაგირად ეძლევათ თხუთმეტი ან ოცი თუმანი, და ამიტომ თავის ბედისა კმაყოფილნი უნდა იყვნენო. ეს ტყუილი აზრია. მართალია, წინად გვქონდა ამნაირი ჯამაგირი, რადგან ვერსების ფულს ბლომად ვიღებდით, მაგრამ ახლა ეს ფული შეგვიმცირეს და თვიური ჯამაგირი მხოლოდ 60 მანეთამდე ადის. ყველა დაწესებულებაში,—ამბობდა მეორე,—მოსამსახურეს ჯამაგირი თანდათან ემატება, ადამიანს ჩვენს სამსახურში კი თანდათან აკლდებაო. სწორედ რომ გვართავე პირველად და მემანქანედ დამნიშნეს, თვეში 300 მანეთი მეძლეოდა, ეხლა კი ექვს თუმანზე ჩამოვედიო. ყველა მოსამსახურე ამ მდგომარეობისა და გაფიცვის მიზეზად ერთხმად ასახელებდა რკინის გზის „ტიაგის“ ეხლანდელ უფროსს. იმან ჩაგვაგდო ამ მდგომარეობაში და გაფიცვაც იმან გამოიწვიაო. თუ ეს კაცი არ იქნა დათხოვნილი, ჩვენ სამსახურს ვერ შევუდგებითო. ცოტახანს თათბირის შემდეგ, კრება ერთს აზრს დაადგა: დღეს ამ კრებაზე ჩვენ მოთხოვნილებათა ცალკე მუხლების განხილვას რომ შევუდგეთ, შორს წაგვიყვანს. ჩვენ დღეს მოვითხოვოთ დაუყოვნებლივ მხოლოდ რამდენიმე მუხლის დაკმაყოფილება, რომ შევუძლოთ მუშაობის დაწყება, დანარჩენს მუხლებს გენ. მალამასგან დანიშნული კომისია გამოიკვლევს და, რასაც გვეტყვის, იმისა დაგვარად მოვიქცევით.

კრებამ შეიმუშავა შემდეგი მუხლები: 1. რკინის გზის „ტიაგის“ უფროსის ვარტემბურგის სამსახურიდან დათხოვნა, 2. მიეცეთ ერთ დროის დახმარება: მემანქანეთ—100 მ., მათ თანაშემწეთ—50 მან., ობერ-კონდუქტორებს—50 მან., კონდუქტორებს—40 მ. მესირენებს—30 მან., მატარებლების შემდგენლებს—50 მან., მატარებლებთან მოსიარულეთ—25 მან., თვლების გამსინჯველებს—15 მ., რემონტის მუშებს—10 მ. და სხვ. 3. პირადი ხელ-უხლებლობა, 4. თავისუფალი მოძრაობა, 5. გაფიცვის გამო დატუსაღებულთა განთავისუფლება და სამსახურიდან დათხოვნილთ ხელახლად მიღება, 6. არ იქმნენ დათხოვნილნი, მუშაობის დაწყების შემდეგ, პოლიციის საქმეებში შენიშნული მუშები და დელეგატები. 7. კრებების თავისუფლება და 8. ტფილისის სადგურის უფროსის ტერპილოვსკის მოქმედების გამო მოსამსახურენი საერთო პროტესტს აცხადებენო. ამასთან კრებამ დაადგინა, ამ მუხლების დაკმაყოფილების შემდეგ ყველა გაფიცული დაუყოვნებლივ შეუდგეს მუშაობას. მხოლოდ თუ მოსამსახურეთა დანარჩენი მოთხოვნილება შემდეგში კომისიის მიერ დაკმაყოფილებული არ იქმნა, მუშაობაზე ხელი უნდა აიღონ და გაიფიცნენ (ამ გარდაწყვეტილებას კრება აღტაცებულ ტაშის კვრით მიეგება). გენ. მალამას მიერ დანიშნულ კომისიაში, რომელსაც პირველი სხდომა გუშინვე ჰქონდა, დელეგატებად კრებამ აირჩია შემდეგი პირები: დოლიძე, ბუნტური, აინცელი, ზალიევი, ჰერვასი, ჩიქოვანი, გოგსუტი, ქავთარაძე, გაბუნია, ხლისტაკოვი და კატცევი.

დასასრულ, კრებამ მადლობა გადაუხადა ქ. ა. გერმიშევს რკინის გზის მოსამსახურეთა საქმეში მხურვალე მონაწილეობის მიღებისთვის და ს. ჭრელაშვილს, რომლისთვისაც, როგორც გამოირკვა, მოსამსახურეთ პირველად მიუმართავთ და იმას ურჩევია, ქალაქის გამგეობას მიჰმართეთ დახმარებისთვისო. ბ-ნმა გერმიშევმა თავის მხრივ მადლობა გადუხადა კრებას, გუშინ მე მთავრობას თავდებად დავუდექი, რომ ამ კრებაზე არავითარი უწესოება არ მოხდება. დღევანდელ კრებაზე თქვენ ერთხელ კიდევ დაამტკიცეთ, რომ ხალხი განვითარდა, გათვითცნობიერდა და ნათლად შეიგნო დღევანდელი ცხოვრების ყველა პირობებიო.

პრესსა

სასაცილოა ისეთ გაზეთის მდგომარეობა, როგორიც არის, მაგ., ,,მოსკოვსკია ვედომოსტი'', ,გრაჟდანინი'' და განსაკუთრებით ,,ნოვოე ვრემია'',—ტრიალობს ეს გაზეთი, ტრიალობს,—პირს ხან კონსერვატორებისკენ მიიბრუნებს, ხან ლიბერალებს უღიმებს,—ის და აკლია, სოციალისტობა დაიწყოს. ატყობს, საითკენ არის ძალა და იქითკენ მიექანება თვითონაც...

ახლაც კავკასიაზე ლაპარაკობს და ამბობს,—ერობის შემოღება არისო საჭირო კავკასიაში...

გაზეთი, რომელიც ქართველებს ეძახდა მხეცებს, გაუნათლებლებს, უვიცს და უვარგისს, ახლა სხვა ჰანგზე მღერის და გაიძახის:

> „განაპირა ადგილებში ადგილობრივ საქმეების მართვა-გამგეობაში ხალხი, საზოგადოება არ იღებს მონაწილეობას და ამიტომ ბევრი არა—სასურველი რამ ხდება იქაო. დრო არის, დიდი ხანია დრო არის, ბოლო მოვუღოთ ამნაირ მდგომარეობას, დრო არის მივცეთ საშუალება საზოგადოებას. თავის თავზე თვითონვე იზრუნოს.
>
> საჭიროა, ადგილობრივ წარმომადგენელთა მონაწილეობით მოეწყოს უკეთესად სასამართლო, გამიჯვნის საქმე, ხალხის დასახლება და სხვადასხვა“.

ერთის სიტყვით კავკასიელებს უნდა ჰქონდეს მინიჭებული საკუთარ საქმეების მართვა-გამგეობის უფლება.. ტრიალებს ციბრუტივით გაზეთი!..

—

ცნობილი ვექილი მ. რატნერი გაზ. ,,ნოვოსტ''-ში ამნაირად ახასიათებს რუსეთის სასურველ მომავალს.

> „სახელმწიფო წესწყობილება უნდა იყოს აგებული დემოკრატიულ პრინციპზე, უნდა იყოს მიღებული მხედველობაში შრომის, პიროვნების ინტერესები, უნდა იყოს გამოცხადებული, რომ ყოველი ადამიანი თავისუფალი არსება არის პოლიტიკურად და კონებრივადაც.
>
> დემოკრატიულ პროგრამის ყოველმა მომხრემ ძალაუნებურად უნდა მოითხოვოს ეროვნული თავისუფლება. თანასწორობის პრინციპი მოითხოვს იმას, რომ ყველა ეროვნებას ჰქონდეს უფლება განავითაროს თავისი ეროვნული თავისებურება, იცხოვროს თავისთვის.
>
> ყველა ეროვნებას თავისებური, განსაკუთრებული თვისებები აქვს და ამ თავისებურობის მოსპობა თვით მსოფლიო კულტურისათვისაც არ არის საჭირო.
>
> ამიტომ ყოველ ეროვნებას უნდა ჰქონდეს უფლება, თვითონ მოაწყოს თავისი საქმე ისე, როგორც თვითონვე მოისურვებს, ამიტომ არის საჭირო ეროვნული თავისუფლება“.

რუსეთი

29 მარტს პეტერბურგში საგეოგრაფიო საზოგადოებაში კაუფმანს მოხსენება წაუკითხავს კავკასიასა და ციმბირში გადასახლებულ (переселенцы) რუსთა და საზოგადოდ გადასახლების მომავლის შესახებ. კაუფმანმა დაჰგმო და **უარჰყო კავკასიაში რუსების გადასახლების პოლიტიკა,** რადგან თვითონ კავკასიელებსაც აკლიათ მიწა, ჩვენი მთავრობა კი ამას ყურადღე-

---

ვიცი და ისედაც დაავადებულს გულს მიკლავს. თქვენ მე ყოველივე წამართვით და ადამიანის ღირსებაც კი ამჭარეთ. ეხლა მინდა შევიტყო, რისთვის, რა დანაშაული მიმიძღვის, ხალხო, თქვენს წინაშე?

ბიუვერის გულწრფელად ამოთქმულმა სიტყვებმა იმდენად იმოქმედეს ხევის მამასახლისებზე, რომ პასუხის მიცემა ვეღარავინ მოახერხა და მხოლოდ მოხუცმა რიმუელდომ ამხილა:

— შენ შელახე და შეაგინე ჩვენი სტუმართ-მოყვარეობა.

ბიუვერს სიბრაზისაგან სახე აენთო და ხელებმა ცახცახი დაუწყეს.

— სტყუით და კვალად სტყუით,!—უპასუხა რიმუელდოს ბიუვერმა.

რიმუელდო მაინც არ შეჩერდა და კვლავ თავისი სიტყვები განაგრძო:

— შენ ფულის გულისთვის ჯაშუშად შეიქენი, შენ გაჰყიდე და უღალატე შენს თავსაც, შენს ოჯახსაც და შენს ხალხსაც; შენ მოსცხე ჩირქი შთამომავლობასაც და დაუტოვე შენს შვილებს სამარცხვინო სახელი. მამასახლისებმა შეიბრალეს შენი წვრილ-შვილი, თორემ ეგ დანაშაული ისე არ ჩაგივლიდა.

ბიუვერი გაქვავებულივით იდგა და ისმენდა მოხუც რიმუელდოსაგან ხალხის დადგენილს განაჩენის შინაარსს, რის ძალითაც იგი განდევნილ და განცალკევებულ იქმნა ხალხისაგან. ის იდგა მოხუცთა სამსჯავროს წინაშე და ამგვარ მოულოდნელ ცილის წამებას თითქო გულ-დამშვიდებით ისმენდა. მისი ლურჯი თვალები მისჩერებოდნენ მსაჯულებს, რომლებიც ჩამწკრივებულიყვნენ მოედნის შუაგულზე, ყველანი სდუმდნენ. ბიუვერი ცდილობდა განეგრძო ლაპარაკი, მაგრამ ხმა აღარ მოსდევდა და პირიდან სიტყვების ნაცვლად, რაღაც ხრიალი-ღა ისმოდა. ამ სურათმა მოხუცი მსაჯულნი დააფიქრა და რაღაც ეჭვში შეიყვანა. ბიუვერმა ხელახლად ძალ-ღონე შეიკრიბა და მიმართა მსაჯულებს:

— ბატონებო, მე მივიკვდლე სიურელი. გეფიცებით ჩემს გარდაცვალებულ შვილების სულს, არ დამეხოცნონ დანარჩენნიც, გასქდეს დედამიწა და ჩამიტანოს, თუ მე ჯაშუში ვიყო და ვისიმე გაფუჭება ოდესმე ფიქრად მომსვლოდეს.

ეს სიტყვები წარმოთქვა ბიუვერმა იმისთანა წმიდა გრძნობით, იმისთანა კილოთი, რომ აშკარად გამოსჩანდა მათში ჭეშმარიტება და მისი სიალალმართლე. ესეთია გულწრფელად და გრძნობით წარმოთქმული ჭეშმარიტება, რომელიც ყოველ ეჭვს გაჰფანტავს ხოლმე. ბიუვერი დაჩუმდა.

ამ დროს რიმუელდოსთან მოვიდა ვიღაც დედაკაცი, რომელიც იქვე ბუჩქებს ამოჰფარებოდა და იქითკენ გაიხმო.

— მე მინდა თქვენ მოგელაპარაკოთ და ერთი საიდუმლოება გითხრათ.

— რიმუელდომ მოუსმინა დედა-კაცს, შემდეგ გამოეთხოვა მას, ხალხთან დაბრუნდა და ბიუვერს უთხრა:

— ხვალ ამ მოედანზე გამოცხადდებით.

მეორე დღეს მოედანზედ მოიყარა თავი დიდძალმა ხალხმა: სან-ბენ-ედიქტოდან, ამნეკუნის ტყეებიდან და ალბანიის მთებიდან. შემოდგომის მშვენიერი საღამო იყო. შუაგულ მოედანზე იდგა ექვსი შეიარაღებული კაცი და ერთმანეთს რაღასაც ეჩურჩულებოდნენ. ხალხი ღელავდა და გაფაციცებით აქეთ იქით იყურებოდა, თითქო ვიღასაც ელიანო.

— ხედავთ, ხედავთ, მარჯვნივ გზას რომ შემოუხვია, მოდის, მოდის!!

— ჩვენც დავინახეთ,—დაეთანხმნენ იმათ მოხუცნი. უცებ ყველა დადუმდა. შორიდგან სალამურის ხმა მოისმოდა. მეცხვარეს გაეშალა თავისი ცხვრის ფარა მთის ფერდობზედ და სალამურს ტკბილად აღუღუნებდა. მგზავრი თანდათან უახლოვდებოდა ხალხის ყრილობას. აი, ის კიდეც დაუპირდაპირდა შეიარაღებულ კაცებს. ხალხმა ცხადად გაარჩია მგზავრი.

— ბიარუ, ბიარუ, შე გამყიდველო, იუდა, შესდექ, შეჩერდი, წინ არ წამოსდგე!—გაისმა ჭექა-ქუხილივით ხალხის ხმა.

ბიარუმ ვერც კი მოასწრო ხალხისთვის შეეხედნა, რომ ექვსმა თოფმა დაიგრიალა. ბიარუ უგრძნობლად დავარდა მიწაზე.

როდესაც ბიარუს ამღვრეული თვალები სამუდამოდ დაიხუჭა, ახალგაზდებმა მოიწადინეს მისი დასაფლავება.

— ხელი არ ახლოთ მაგ მძორს, მაგ ხალხის მოღალატეს!—გაისმა ხალხის მრისხანე ხმა:—ჯაშუშის გვამს მიწა არ მიიღებს!!

ხალხი დამშვიდდა და წავიდ-წამოვიდა. კაშკაშა მთვარე ხევიდან დაჰყურებდა.

ლიახვისპირელი.

ზას არ აქცევს და კავკასიელთა გასარუსებლად რუსები გადაჰყავს იქაო. (ს. ო.).

✦ 31 მარტს სამთო ინჟენერთა საზოგადოებაში, აუარებელ ხალხის თანადასწრებით, ინჟენერმა ლეონტიევმა მუშების მდგომარეობის შესახებ მოხსენება წაიკითხა. მოხსენების დედა-აზრი შემდეგია: დაუყოვნებლივ საჭიროა, რომ ინჟენერები, ტეხნიკოსები და სხ. შეუერთდნენ მუშა ხალხს, შეჰქმნან ერთი ძლიერი ორგანიზაცია და აზრადაც **ერთი პოლიტიკური მიზანი დაისახონ.** ამისთვის საჭიროა: 1) მუშათა პოლიტიკურ მოთხოვნილებას საქმით მხარი მივცეთ; 2) განუვითარებელი მუშები განვავითაროთ და გულგრილნი ბრძოლის ველზე გამოვიწვიოთ; 3) თუ საჭიროება მოითხოვს, მუშებს ხელმძღვანელობა გავუწიოთ და 4) საქმე ისე მოვაწყოთ, რომ ჩვენმა საზოგადოებამ დაწვრილებით უნდა იცოდეს მუშათა მოძრაობის საქმე და მუშებმაც უნდა იცოდნენ ჩვენის საზოგადოების დადგენილებანი, მუშაობა და საზოგადოდ ყველაფერი, რაც კი ორივეს შეგვეხება (ს. ო).

ლეონტიევის შემდეგ მოხსენება წაიკითხა ინჟინერმა ჩერნიშევმა **სახალხო წარმომადგენლობის შესახებ.** დედა-აზრი ჩერნიშევის მოხსენებისა შემდეგია: რუსეთმა ევროპიულ წარმოების ფორმები შეითვისა და ძალა-უნებურად იმავე ევროპის პოლიტიკურ წესწყობილების ფორმაც უნდა მიიღოს. ჩვენ რაღაც საერო კრებას გვაძლევენ, სადაც ხალხის წარმომადგენელთ მხოლოდ რჩევის უფლება ექმნებათ. საერო კრებას არას დროს არ დაუცავს ყველა კლასთა ინტერესები, რადგან ისინი მხოლოდ წოდებაზე იყვნენ აშენებულნი. მაგრამ ეხლა წოდებრივ წარმომადგენლობის ინსტიტუტი არ შეეფერება საზოგადობის კაპიტალისტურ წეს-წყობილებას, რადგან ეს საზოგადოება თხოულობს მუდმივსა და კანონმდებელ დაწესებულებას, და არა დროებითი დაწესებულებას, რომელსაც მხოლოდ რჩევის უფლება ექნება. ამიტომ რუსეთის მთავრობის-მიერ განზრახულ საერო კრებას არავითარი მნიშვნელობა არ ექმნება და ვერც ვერავის დაამშვიდებს. მომხსენებელმა ასე დაამთავრა თავისი სიტყვა: ყოველ ქვეყანას შეუძლიან თავისუფლება მოიპოვოს. ამისთვის მხოლოდ ის არის საჭირო, რომ ამ ქვეყანამ თავისუფლება მოისურვოს,—სთქვა განთქმულმა საფრანგეთის რევოლიუციონერმა ლაფაიეტმა. (ს. ო.).

ქალაქის საბჭო

რადგანაც ქალაქის საბჭომ ორშაბათს დანიშნულ საქმეების განხილვა ვერ მოასწრო, ამიტომ ამ სხდომის გაგრძელება დანიშნა ხუთშაბათისთვის.

თავმჯდომარეობდა ქ. ა. ვერმიშევი. სანამ საქმის განხილვას შეუდგებოდნენ, ხმოსნებმა რამდენიმე კერძო ხასიათის საკითხები წამოაყენეს. სხვათა შორის, **ხმ. ა. ს ბაბოვმა** სთქვა: საბჭოს ორშაბათის სხდომის ანგარიში რუსულ გაზეთებში შეკვეცილი იყო, რადგან ამგვარ ანგარიშებმა ორ-ნაირ ცენზურის ხელში უნდა გაიაროს და, როგორც ეტყობა, გუბერნატორს შეუმოკლებიაო. კარგი იქნება, ეს ანგარიში თვით ქალაქის გამგეობამ შეადგინოს, დააკანონიეროს და რედაქციებს თავისით გაუგზავნოსო.

ზოგიერთი ხმოსანი კიდევ იმ აზრისა იყო, აღვძრათ შუამდგომლობა, რომ ჩვენი პრესსა გაანთავისუფლონ ამგვარ შევიწროებისაგანო.

ხმ. დოლუხანოვი. ამ რამდენისამე დღის წინად კობეკოს კომისიამ ოფიციალური ანგარიშები სრულიად გაანთავისუფლა გუბერნატორების რევიზიისაგან; ეს გარდაწყვეტილება, მე მგონი, ძალაში მალე შევა, ისე რომ ამ საგანზე შუამდგომლობის აღძვრა მეტი იქმნება.

თავმჯდომარემ საბჭოს წაუკითხა რკინის გზის მოსამსახურეთა თხოვნა, სადაც მოსამსახურენი ქალაქის თვითმმართველობას თავიანთ გაჭირვებას უხსნიან და სთხოვენ, გვიშუამდგომლეთ მთავრობასთან, ჩვენი სამართლიანი მოთხოვნილებანი დააკმაყოფილონო. ამასთან ისინი ითხოვენ, საბჭოს დარბაზი დაგვითმეთ, რომ შეგვეძლოს ერთად თავის მოყრა და მოლაპარაკებაო. ამ თხოვნის წაკითხვის შემდეგ თავმჯდომარემ აუწყა საბჭოს, დღეს ვიყავი გენერალ მალამასთან და რკინის გზის მოსამსახურეთა თხოვნა მოვახსენე. გენ. მალამამ მითხრა: ათასგვარმა გაფიცვამ ტფილისი უკიდურეს მდგომარეობაში ჩააყენა; ამის გამართლება არავითარის გზით არ შემიძლიან; მოსამსახურეთ შეეძლოთ თავიანთ მთავრობასთან ეჩივლათ, ისინი კი იფიცებიან და ამით საზოგადოებას ვნებას აყენებენო. გენ. მალამამ ნება დართო მოსამსახურეთ, მოიყარონ თავი საბჭოს დარბაზში და აირჩიონ თავიანთი დელეგატები. გენ. მალამამ თავის მხრივ ამ საკითხის გამოსარკვევად კომისია დანიშნა. დელეგატებს შეუძლიანთ თავიანთი მოთხოვნილებანი ამ კომისიას გადასცენ და იქ გაარჩევენო. ამასთან გენ. მალამამ მოისურვა, რომ ამ კომისიაში მიიღოს მონაწილეობა ქალაქის ერთმა წარმომადგენელმაც. ვსთხოვ საბჭოს, ეს წარმომადგენელი აირჩიოსო.

ხმები: თქვენა გთხოვთ, თქვენ..

თავმჯდომარე დასთანხმდა.

ხმ. ბაბოვი. გთხოვთ, ყოველი ღონისძიება იხმაროთ და რკინის გზაზე მშვიდობიანობა აღადგინოთ, რადგან გაფიცვამ მატარებლების მიმოსვლა სრულიად შეაჩერა, რაც არავისთვის სასურველი არ არის. გთხოვთ გადასცეთ რკინის გზის მოსამსახურეთ მთელი საბჭოს სურვილი: ბჭობისა და დელეგატების არჩევის შემდეგ სამსახურს დაუბრუნდნენ და კომისიის გარდაწყვეტილებას ისე მოუცადონ.

ამის შემდეგ თავმჯდომარემ საბჭოს წაუკითხა ხმოსანთა ერთი ჯგუფის განცხადება. ისინი თხოულობენ გენ. მალამასა და ტაინი სოვეტნიკის ყირიმ-გირეის ხელმწიფის მოადგილის თანაშემწეებად დანიშვნის გამო საბჭომ მიულოცოს ბ-ნ ყირიმ-გირეის დეპეშით, ხოლო გენ. მალამასთან მისალოცავად ქალაქის მიერ არჩეული დეპუტაცია მივიდესო.

საბჭომ დაავალა ქალაქის გამგეობას, ხმოსანთა შორის აირჩიოს სამი კაცი და ამნაირად წარსდგეს გენ. მალამასთან.

დასასრულ საბჭომ განიხილა გამგეობის დადგენილება ეტლების მიმოსვლის ნიხრის შესახებ.

ბევრის ბჭობისა და „რჩების“ შემდეგ, საბჭომ დაადგინა: ქალაქის ქუჩებზე მიმოსვლის ნიხრი სრულიად გაუქმდეს და წაყვან-წამოყვანის ფასი თითოეულ კერძო შემთხვევაში მეეტლეებთან მორიგებით უნდა გადაწყდეს. თუ მორიგება ვერ მოხერხდა და მეეტლეებმა გადაჭარბებული ფასი მოითხოვეს, იმ შემთხვევისთვის დაწესებულია ნიხრის შემდეგი მაქსიმუმი: რკ. გზის სადგურიდან ქალაქში—70 კ., ქალაქიდან სადგურამდის—60 კ., ქალაქის ყველა ნაწილებიდან განაპირა ადგილებში—1 მან.; საათობით: 20 წუთში—40 კ., 40 წ.—60 კ. და 1 საათში—80 კ.; ქალაქის შუაგულ ნაწილიდან ნავთლუღის სადგურამდე—1 მან.; ამას გარდა, ღამე, პირველი საათის შემდეგ, ამ ნიხრს ემატება 20 და 30 კაპ., საათობით სიარულს—10, 15 და 20 კაპ. აღდგომა დღეს და ახალ წელიწადს ერთი-ორად უნდა მიეცეთ.

რესტორან-სამიკიტნოების პატრონთა კრება.

როგორც მოხსენებული გვქონდა, 5 აპრილს ქალაქის საბჭოს დარბაზში შესდგა საზოგადო კრება მიკიტნების, მეტრაქტირების, რესტორანების, მედუქნეების, ხარშოვნიკების, სასტუმროების, სასტუმრო ბადებისა და მეზადულეების კრება სხვადასხვა საჭიროებაზე მოსალაპარაკებლად, როგორც თავიანთ, ისე მოსამსახურეების შესახებ. კრებას დაესწრო 1000 მეტი კაცი, რომელმაც გარეშეთა და პოლიციელთა დარბაზიდან გასვლა მოითხოვა. კრების დაწყების დროს ქალაქის მოურავის მოადგილემ ჩერქეზიშვილმა განუმარტა იქ დამსწრეთ კრების დიდი მნიშვნელობა და თან აცნობა, რომ თავისუფლად შეუძლიანთ ლაპარაკი, რადგანაც გუბერნატორისაგან ნებაა დართულიო. კრებამ თავმჯდომარე და მდივანი ამოირჩია.

კრებაზე ასეთი საჩივარი გამოითქვა: სხვადასხვა გადასახადებში ყოველ წლიურად 1,500—2,000 მანეთამდის ვიხდით, სავაჭრო საბუთებსაც ვყიდულობთ, მაგრამ როდესაც საქმეს საქმეზე მოვაწესრიგებთ, დავიწყებთ ვაჭრობას და შაურობით ვცდილობთ დახარჯული ათი და ასი თუმნები ავინაზღაუროთ, მოდის მაშინ პოლიცია, გვართმევს ყველა საბუთებს, ვითომც და აქ „კიდევ ერთი რამ აკლიაო“, მიაქვს პოლიციის გამგეობაში და ჩვენც თან მიგვათრევს. მხოლოდ დიდიხნის წვალებისა და დავიდარაბის შემდეგ გვიბრუნებს ხოლმე ამ საბუთებს. მაგრამ ამასაც არა კმარობს: ყოველ უქმეებში ჩვენ მოვალენი ვართ მივართოთ: ჩაი, შაქარი, ლიქიორი, ბატკანი და ბევრი სხვა რამ. ვერ მოასწრობ შენი დუქნის გაღებას, რომ „გოროდოვოი“ თავს წამოგადგება. ნამძინარევს პირჯვარი არ გამოგვისახია ჯერ, რომ „გოროდოვოი“ დილის «სიფთაზე» უფულოდ არაყს სვამს. აიღეთ, მაგალითად, მე-ხ-ე უბნის ბოქაული გლებოვი. იმისი ნახევარ მილიონად ღირებული ქონება სულ ჩვენის ოფლით არის ნაშოვნი, ჩვენ კი უკანასკნელ ღარიბებად ვიქეცით. აბა, გაბედეთ,—ვინ არის თქვენში კაი ბიჭი—და პასუხი შეუბრუნეთ პოლიციას—სამუდამოდ დაიღუპები! ყველა ამ არა-ნორმალურ პირობებისაგან თავის დასაღწევად შევყრილვართ დღეს და გთხოვთ გაგვანთავისუფლოთ ამ უბედურებისაგანაო,—დაამთავრეს ამ სიტყვებით თავიანთი საჩივარი ვაჭრებმა. დიდი ხნის კამათის შემდეგ დაადგინეს:

1) კვირა-უქმე დღეებში არსად არავითარი ვაჭრობა არა სწარმოებდეს, რადგანაც ამ სავაჭრო ადგილებში დილის 10 საათიდან დაწყებული ქეიფობენ მხოლოდ ისეთი მავნე ბოროტი პირები, რომელნიც ფულს ადვილად შოულობენ ათას უსინდისო გზით და ათასი ბოროტ-მოქმედება ხდება ხოლმე ამ დუქნებში: კაცის კვლა, გაუპატიურება, როგორც ქალებისა, ისე პატარა ყმაწვილ ბიჭებისა და სხვა ამნაირი გულის ამღვრევი სცენები.

2) უბრალო დღეებში ვაჭრობა იყოს ხოლმე ზაფხულობით დილის 6 საათიდან სადამოს 10 საათამდის და ზამთრობით დილის 7 საათიდან სადამოს 10 საათამდის.

3) ფარული შესავალ-გასავალი კარები სავაჭრო დუქნებში მოისპოს.

4) ღვინით ვაჭრობა საწვრილმანო დუქნებში მოისპოს, რადგანაც ისინი ამის პატენტს არ იხდიან.

5) იშუამდგომლონ, სადაც ჯერ არს, აქციზის გადასახადი მოისპოს და მის ნაცვლად დაწესდეს გადასახადი წმინდა შემოსავალზე, რომელსაც ამქრის მამასახლისი შეამოწმებს.

6) ქურდებს, უსაქმურებს, მატყუარებსა და სხვა ამისთანა მავნე ხელობის მიმდევრებს ბინა და საჭმელი არავინ არ მისცეს, სანამ ისინი არ გასწორდებიან და პატიოსან შრომით თავს არ დაირჩენენ.

7) მოისპოს მიჯარადრეები, რომელნიც ერთი-ორად ახდევინებენ, და პირდაპირ თვით სახლის პატრონებთან იქონიონ საქმე, ხოლო თუ ისიც უსინდისო პირობებს წარუდგენს, დასტოვონ მისი სახლი და სხვას არავის შეეძლოს მისი დაჭერა.

8) მოსამსახურეებს ყოველ შაბათობით გაუსწორდნენ.

9) არავითარი ქრთამი არავის არ აძლიონ. შენახული გადარჩენილი ფული შეიტანონ საერთო კასაში, საიდანაც ავადმყოფ-გაჭირვებულ ვაჭართა და მოსამსახურეებს უნდა დახმარება აღმოუჩინონ.

10) დაარსდეს საერთო კასსა მოვაჭრეების მოსამსახურეთა საქმიოდ და მატერიალურ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

11) ამქრების უფროსებთან შესულ ჯარიმებისა და ყოველ დამარხვაზე ნაწუქარი ფული შეტანილ იქმნის ამ კასაში.

12) დაარსდეს საამხანაგო სასამართლო.

13) ყოველივე უსიამოვნება ერთმანეთში და ქიშპობა, აგრეთვე კატურ უფლებათა შელახვა მოისპოს.

14) მოისპოს დაბეჭდილ ბოთლებით ღვინის კარის-კარ დატარება.

15) მოისპოს ქუჩაზე ღვინით ვაჭრობა. ჩამოსულ ბოჭკებითა და ტიკებით ღვინო უნდა ყაფანზევე გაიყიდოს.

16) აიკრძალოს კარტის, ნარდის, დომინოს და სხვ. ფულზე თამაში.

17) სასტუმროებში არ შეუშვან ხანგრძლივ საცხოვრებლად გამოურკვეველ პროფესიის პირნი, რომელნიც მდგმურების სახელით თვეობით სცხოვრობენ და კარტის თამაშით და სხვა ამნაირ ადვილ „შრომით“ თავს ირჩენენ.

18) ეთხოვოს ქალაქის გამგეობას საზოგადო აბანოების დაარსება, რადგანაც აწ-არსებული აბანოები იმ ექსპლოატატორების გამო, რომელთაც იჯარით აქვთ აღებული, მათთვის ხელ მიუწვდენელია.

19) გარდა იმისა, რაც მოსამსახურეებს მიენიჭათ უფლება დროს შემცირებით, მიეცეთ კიდევ შემდეგი უფლებანი:

ა) სავსე ხურჯინებით დატვირთული მოსამსახურეები არსად არ გაიგზავნონ.

ბ) ერთმანეთში ზრდილობიანი ქცევა უნდა დამყარდეს.

გ) გადაწყვეტილი ჯამაგირები უნდა დაუწესდეთ.

დ) მიეცეს მოსამსახურეს ბინა ან ბინის ფული.

ე) აბანოსთვის ორჯელ თვეში მიეცეთ ხარჯი.

ვ) წელიწადში სამჯერ მიემატოთ ჯამაგირი.

ზ) ერთი თვით ავადმყოფობის დროს ჯამაგირი არ დაეჭრათ.

ჱ) ექიმი, წამალი ვაჭრის ხარჯზე ქონდეს მოსამსახურეს.

თ) თუ მოსამსახურის დათხოვნა უნდა ვაჭარს, ერთი თვის ჯამაგირი წინად უნდა მისცეს.

ი) მიღება-დათხოვნა მოსამსახურეთა წრის გადაწყვეტილებით უნდა სწარმოებდეს.

კ) გაფიცვის დროს არავინ დათხოვნილი არ იყოს.

20) 19 წლისაზე პატარა არავინ არ დაიჭირონ მოსამსახურედ.

ყველა ამ ზემო აღნიშნულ მუხლებისა გარდა, მოვაჭრეთა კრებაზე დადგენილ იქმნა, რომ მათ ხშირ-ხშირად მიეცეთ ნება ასეთი კრების გამართვისა, თავისუფალ სიტყვისა და ბეჭდვისა, ბინის ხელუხლებლობისა და მომავალ საზოგადო საერო კრებაზე მიეცეთ თანასწორი ხმა. დასასრულ, ამ მოთხოვნილებათა განსახორციელებლად არჩეულ იქმნენ

1 უბანში—ი. ნუზაროვი და ზ. პაპაშვილი, მე-2-ში—ი. გამეზარდოვი და გ. ბუზიძე, მე-3—ნ. ვაკია, კოვი და კ. ზაირამოვი, მე-4—გ. აჯიმამედოვი და ტერ-არუთინოვი, მე-5—არუთინოვი და გ. აზნაუროვი, მე-6—გ. მამულოვი და ე. კერესელიძე, მე-7—მ. ივანეროვი და ა. თუმანოვი, მე 8—ზ. ხუნდაძე და ვ. ხახუტაშვილი, მე-9—გ. ედიბერიძე და ს. ეგოროვი, მე-10—ზ. როსტომოვი, ი. ომიაძე, ფირცხალა, ბ. დვალიძე, გ. ბეგიჯანოვი და ი. სოზიევი. საზოგადოებამ მადლობა განუცხადა თვით-მართველობას, რომ საბჭოს დარბაზი დაუთმეს და ისურვა, რომ ეს გულის გამაცოცხლებელი კრება უკანასკნელი არ ყოფილიყოს.

კორესპონდენცია

ავჭალა. დიდი ხანია, რაც ამიერ-კავკასიის რკინის გზების უფროსი ბ-ნი ივანოვსკი ცდილობს მოხელეებისთვის ქალაქის მახლობლად სააგარაკო ადგილების მოძებნას.

როგორც უფროსის მოხსენებიდან სჩანს, რკინის გზისაგან შეძენილ ადგილზე გაშენდება საზაფხულო კოლონია, დანაკვეთდება და დაურიგდება მოხელეებს იმ პირობით, რომ მათ თავიანთი სააგარაკო ადგილები შემდეგისათვის გამოისყიდონ რკინის გზიდან. ამნაირად, რკინის გზის უფროსი ზრუნავს ზაფხულობით სიცხისას სამსახურიდან მოღლილ მოხელეებს მისცეს ღონისძიება ისუნთქონ სუფთა ჰაერით. ეს ძალიან კარგი და პატიოსანი მისწრაფებაა, მაგრამ იმასაც ნუ დავივიწყებთ, რომ სააგარაკო ადგილების შეძენა მაშინაა საჭირო, როდესაც სხვა უფრო აუცილებელი მოთხოვნილებანი დაკმაყოფილებულნი არიან. სააგარაკო ადგილების შეძენა შეადგენს ჩვენთვის კერძო მოთხოვნილებას, ურომლისოდაც შეგვიძლიან ვიცხოვროთ. ბ-ნმა გზების უფროსმა, ჩვენი დღევანდელი გაჭირვება რომ გაითვალისწინოს, მაშინ სულ სხვა გარემოებას მიაქცევდა ყურადღებას.

ყველაზე უსაჭიროესია: ჰაერი, საჭმელი და ბინა. კაცი უბინაოდ ისე ვერ გაძლებს, როგორც უჰაეროთ და უჭმელად. ამ უკანასკნელ მოთხოვნილებას ისეთ გარემოებაში ჩაუყენებია რკინის გზის დაბალი მოხელენი, რომლებიც შუათანა რიცხვით თვეში არა უმეტეს 30—40 მ. ჯამაგირს იღებენ, რომ ვერაფრით უშველიათ ამ საჭირბოროტო საქმისათვის. ამ ბოლოს დროს ტფილისში სახლის ქირა იქამდის აიწია, რომ თვეში ორ ოთახს, ქალაქის განაპირა ადგილებშიაც კი, 15 მანათ ნაკლებ ვერ დაიქირავებთ და საიდ მოიპოვება წვრილ-ფეხა მოხელეს იმდენი ღონისძიება, რომ თავის მცირე ჯამაგირით ამ სიძვირეში დააკმაყოფილოს ყოველივე უსაჭიროესი მოთხოვნილებანი ოჯახისა და სახლის ქირაც თვეში 15 მან. მისცეს? ამისთვის იგი იძულებულია მოძებნოს იაფ-ფასიანი ოთახები, გინდაც ამ ოთახებმა თავისი სიბნელით, დახშული ჰაერით და სინესტით იგი დაავადოს და უდროოდ გამოასალმოს ამ ქვეყანას. ასეთია მდგომარეობა რკინის გზის დაბალი მოხელეებისა სახლის დაქირავების შესახებ და რკინის გზის უფროსი კი ჩვენთვის სააგარაკო ადგილებზედა ზრუნავს! ამას დავუმატოთ ისიც, რომ სააგარაკო სადგური ჩვენთვის საჭიროა ორის-სამის თვით და სამუდამო ბინა კი ტფილისში თითქმის მთელი წლის განმავლობაში გვჭირია.

აგარაკების დაარსების მაგივრად უფრო კარგს იზამდა ბ-ნი უფროსი, თუ მუდმივ უბინაობას აგვაცილებდა. ეს საქმე კი უფრო ადვილად მოეწყობოდა: რკინის გზას შეეძლო შეესყიდნა ქალაქს გარედ იაფფასად მიწა, გაეშენებინა ზედ შენობები მოხელეებისათვის, დაეყო ვისაც რამდენი ოთახი სურდა და ქირა ჯამაგირიდან გამოერიცხა. გარდა ამისა შეეძლო მოხელეებისათვის ღონისძიება მიეცა, გამოეყვანათ გზისაგან თავიანთი სადგური, მით უმეტეს რომ რკინის გზას შენობისათვის არ მოუხდებოდა მოეწვია კერძო ხუროთ-მოძღვრებისა და ოსტატების. მოხელეებს ამით ბევრად გაუადვილებდა და გაუუმჯობესებდა ცხოვრებას: 1) თავიდან ასცდებოდათ ქალაქის სახლის პატრონებისგან დადებული უზომო სახლის ქირა, 2) ჰიგიენურ შენობებშიაც იცხოვრებდნენ და 3) თავიანთი წრე და უბანიც ექნებოდათ. თორემ რად გვინდა აგარაკი, როდესაც უბინაოდ სული გვეხუთება!

რკინის გზის მოხელე.

ღამის დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

8 აპრილი.

პეტერბურგი. ოფიციალური ცნობა შორეულ-აღმოსავლეთიდან 7 აპრილს არ მოსულა.

გუნჯულინი. ლაშქრის ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა. აქ სიწყნარეა. სავაჭროები კვლავ გაიღო. ჩინელებიც ეხლა უფრო გვეტანებიან. თოვლქყაპია. საძაგელი დარია.

ლონდონი. „ტაიმსი“ ამბობს, იაპონელებმა სიმშვიდე დაკარგეს რუსეთის ესკადრის მიახლოვების გამო და როჟესტვენსკის განზრახვას ხელს უწყობენ, რადგან იმას უნდა ტოგოსთან შეყრა იმ ადგილს, რომელიც იმან აირჩია საბრძოლველად საფრანგეთის ნავთ-სადგურთ ახლო, სადაც დაზიანებული გემები ბინას იპოვიანო.—„ტაიმსსა“ ჰგონია, როჟესტვენსკი იმავ პოლიტიკას ადგია, როგორც ამას წინად რუსის კრეისერები მოქმედობდნენ ინგლისის ვაჭრობის შესაფერხებლად, ე. ი. რუსის ადმირალი ცდილობს ისე არიოს საქმე, რომ ინგლისი ომში ჩარიოს და ამგვარად რუსეთმა ეხლანდელ გაჭირებულ მდგომარეობას მეტის პატივით დააღწიოს თავი. პეტერბურგში ძლიერი პარტია ეხლა ამ გზას დასდგომიაო.—„გრაფიკი“ სწერს: როჟესტვენსკიმ ის გააკეთა, რაც ყველა ექსპერტს შეუძლებლად მიაჩნდა. ეს დიდი, უმაგალითო საქმეა. თუ რომ როჟესტვენსკის ბრძოლაც ისე შეუძლიან, როგორც ესკადრის გაწყობა, მაშინ ტოგოს ადვილად გაუსწორდება. რუსეთი ბრძნულად მოიქცა, რომ აქამომდე ზავი არ შეჰკრა. რა შედეგიც უნდა ჰქონდეს მოსალოდნელ ბრძოლას, როჟესტვენსკის ესკადრის მგზავრობა საზღვაო ისტორიაში ჩაიწერება.

ტოკიო. სამი მილიონი ფიჭვის ხე იგზავნება მანჯურიაში. ერთი მილიონი გაგზავნეს კიდეც.

ჰონკონგი. გემებს ამბავი მოაქვთ, კამრანის პორტში ბალტიის ესკადრა არ გვინახავსო. ტოკიოში ძალიან შეფიქრიანდნენ და ცდილობენ ტელეგრაფით გაიგონ რამე.

პორტ-ლუი. „ჟულეტის“ მეზღვაურნი ირწმუნებიან, ბალტიის ესკადრა რავდენისამე კვირით კამრანში გაჩერდება, რადგან კაპიტანს (?) უბძანებია, მანდ მოუცადეთ ადმირალ როჟესტვენსკისო.

შანჰაი. აქ არის მზვერავთა განყოფილება, რომელიც წინ უძღვის ბალტიის ესკადრას. კრეისერი „ასკოლდი“ ნახშირით დაიტვირთა და ამერიკელ სამხედრო გემების ფრად შეიღება; რაც იარაღის ახსნის დროს მოაცალეს, ეხლა ხელახლა გაუკეთეს, ლოცმანიც დააყენეს. ჩინელების ხუთი სამხედრო გემი დარაჯობს.

ლონდონი. ინგლისის მთავრობამ აცნობა რუსეთისას, ის ამბავი, ვითომც კრეისერი „იფიგენია“ იაპონელებს ცნობებს აძლევდა რუსეთის ესკადრის შესახებ, უსაბუთოაო.

ბერლინი. „ლოკალ ანცეიგერს“ ატყობინებენ პარიზიდან, დელკასემ გამოუცხადა იაპონიის ელჩს მონტოს, რომ საფრანგეთის მთავრობა ნამდვილ ცნობებს მოითხოვს რუსეთის ესკადრის ინდო-ჩინეთის ზღვაზე ყოფნის გამო და პასუხს წარმოგიდგენთო. ტოკიოდან იუწყებიან: ჟურნალისტები მიტინგზე ამტკიცებდნენ, რომ საფრანგეთი ნამდვილად ჰშველის რუსეთს. მთლად მწერლობა თხოულობს, რომ იაპონიამაც ნეიტრალიტეტი დაარღვიოსო.

გოძიადან, 7 აპრილი. 11 ს. 50 წ. იაპონელების მოძრაობა აღმოსავლეთისკენ შეჩერდა. პაძიაძი—ტოუნგოუ—უფანლოუს შორის იაპონელებს ეჭირათ იულანძა და ვახენგოუ, ხოლო კაზაკების თავისუფალ ასეულმა უკან დაახევინა. იპანის მხარეს რეკოგნოსციროვკის დროს მოგვიკლეს 5 და დაგვიჭრეს 20, დაიკარგა 51 დაბალი ჯარის-კაცი. მუკდენიდან მოსული ჩინელები გვარწმუნებენ, რაკი მუკდენი და ლიაოხეს ხეობა დაიჭირეს, იაპონელები ჩრდილოეთისკენ აღარ წამოვლენო. იაპონელების ჯარი თავის ბანაკს ამაგრებს და მოსაგერებლად ემზადება და რუსების დაცემას ელოდებაო. დეკოვილის გზა გაჰყავთ მუკდენიდან გირინისკენ, ვიწრო-ლიანდაგიანი—ხაიჩენიდან სინმინტინისკენ. ვლადივოსტოკის ბედ-იღბალი იმაზეა დამოკიდებული, რით გათავდება ამ ცოტას ხანში მოსალოდნელი ბრძოლა ზღვაზე.

ჩანჩავაძი, 8 აპრილი. დილის 9 საათი, აღმოსავლეთის ფრთეზე პატარა მზვერავი რაზმები ხვდებიან ერთმანეთს. ნებაყოფლობით წასულმა რაზმმა მტრის რაზმს ერშკულიპუმდე სდია. ცივა. გზები წალეკილია. ყოველ დღე ჯარი გვემატება.

სახალინი. მცხოვრებნი მღელვარებით ელოდებიან ბალტიის ესკადრის მოქმედებას. სიმშვიდეა. დათბა. გზები ფუჭდება. ნავთსადგური მოყინულია.

ვაშინგტონი. იაპონიამ აუწყა შეერთებულ შტატებს, რომ საფრანგეთმა ნეიტრალიტეტი დაარღვია, რადგან როჟესტვენსკის კამრანის ნავთსაყუდელში გაჩერების ნება მისცა, და ამის გამო საერთაშორისო სამსჯავროს მივმართამო.

პეტერბურგი. კავკასიის ჯარის პირველ კორპუსის არტილერიის უფროსი, გენერალ-ლეიტენანტი ხიმშიაშვილი, უმაღლესის ბრძანებით, ალექსანდრეს დაჭრილთა კომიტეტის წევრად ჩაირიცხა.

კიშინევი. საბჭოს ყველა ხმოსნებმა გუბერნატორს მიმართეს, იღონეთ რამე, რომ აღდგომებში უწესოება არ მოხდეს და ხალხი არ დაზიანდესო. გუბერნატორმა დასამშვიდებელი პასუხი მისცა.

კანეა, 8 აპრილი. ხალხის კრების დაწყებისათანავე ბატონიშვილმა გიორგიმ განუცხადა კრებას, ვმეცადინეობდი სახელმწიფონი დამეთანხმებინა, რომ კრიტოსი საბერძნეთს შეუერთონო. ბატონიშვილის წასვლის შემდეგ, კრებამ კრიტოსი საბერძნეთთან შეერთებულად გამოაცხადა და შეჰფიცა ელლინთა მეფესა და საბერძნეთის კონსტიტუციას.

ბერლინი, 8 აპრილი. მეფე ედუარდი 15 აპრილს მარსელს მივა და ორს დღეს პარიზში დარჩება.

პეკინი, 7 აპრილი. რუსეთის ელჩი ლესარი გარდაიცვალა.

პეტერბურგი, 8 აპრილი. გაზეთების სიტყვით, ბეჭდვითი სიტყვის შესახებ კობეკოს განსაკუთრებულმა საბჭომ მადლობით მიიღო რა სამეცნიერო აკადემიის წერილი ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლების შესახებ, განაცხადა, რომ აკადემიის ზოგიერთი მოსაზრება სრულიად ეთანხმება საბჭოს დადგენილებათ და ზოგსაც მსჯელობაში ვიქონიებთ შემდეგი მუშაობის დროსო.—ზაკავკასიის გზის უფროსი კონტროლიორი იართოვიცკი იმავე თანამდებობაზე კავკასიის რკინის გზაზე გადაჰყავთ.

დროებითი რედაქტორი ფ. **გოგიჩაიშვილი.**
გამომცემელი **თ. პავლე ი. თუმანიშვილი.**

განცხადებანი

ახალი წიგნი
რანი ვიყავით გუშინ?
ისტორიული წერილი **იაკობ გოგებაშვილისა**. გამოვიდა და ისყიდება ტფილისში, წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში. გაიგზავნა სხვა ქალაქებსა და დაბებშიაც. **ფასი ერთი აბაზი**. მთელ შემოსავალს წიგნისას, რომელიც მთელის გამოცემის გაყიდვის შემდეგ ოც თუმნამდე უნდა ავიდეს, ავტორი გაჰგზავნის გურიაში, იქაურ საჯარო ბიბლიოთეკების საუკეთესო წიგნებით შესავსებლად.
(5—6.—1)

Денисовскій

მოითხოვეთ ყველგან ნამდვილი
„სოლდობრინი“ მ. ვ. ლებედევისა
ეს წამალი სრულიად აქრობს რამდენსამე დღეში ძველს ბებერას და მეტ-ხორცს ძირიან-ფესვიანად. მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული, № 22473.
იყიდება ტფილისში—სააფთიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობასა და მის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში.
(0—6.—4)

KAKAO
ВАНЪ-ГУТЕНА

ნაკვთების ღონე.
წმინდა და კარგი კაკაო, ე. ი.
ვან-გუტენისა
მშვენიერი სასმელია, ამაგრებს ადამიანის სხეულს და ამიტომ საჭიროა ყოველმა ოჯახმა იქონიოს ეს მშვენიერი სასმელი. გამოჩენილ ექიმთა მიერ ვან-გუტენის კაკაო ცნობილია, როგორც ძლიერ კარგი საშუალება ნაკვთების გასაღონიერებლად.
Фабриканты C. J. van Houten & Zoon, Weesp (Голландія).
(2—6—2)

Дозволено цензурою, Тифлисъ, 8 апрѣля 1905 г.
ელექტრონით მბეჭდავი ამხანაგობა „შრომა“, ფრეილინის ქ., № 5.